გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N14 (9265) 21 მაისი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

## ბატონი ბიძინა ყოველთვის აქ იყო




## მდინარე რიონზე ბორანი აღადგინეს



3

## კანალიზაციის პრობლემას სამტრედიაში სპეციალისტები აგვარებენ



2



## ვინ წერს წიგნებს?

6

## გზების შეკეთება დაიწყო



2



6

## ახალგაზრდა ვოკალისტის წარმატება

“სამშობლოზე ზრუნვა ხომ უკვე ჩვენი ვალია”

“ამ ანტინომიურ სამყაროში გზა ნდა გაიკვლიოთ”

8

# ორშაბათის ტრადიციული თათბირი

ნინო ნანიტაშვილი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკონტრაქტო სამსახურში მიღების შესახებ საინფორმაციო კამპანია დაიწყო. სამინისტროს ადმინისტრაციის საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლები და სამხედრო მოსამსახურეები, მთელი საქართველოს მასშტაბით, მოსახლეობას საკონტრაქტო სამსახურის პირობებს პირადად აცნობდნენ. სამხედრო მოსამსახურეებმა მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის წესები, საჭირო დოკუმენტაცია და ის პირობები გააცნეს, რომელიც მომავალ სამხედრო მოსამსახურეებს კარიერის განმავლობაში ექნებათ. შეხვედრის ბოლოს თავდაცვის სამინისტროს გაზეთები და სპეციალურად მომზადებული საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგეს.



ოთხწლიანი საკონტრაქტო სამსახურის გავლა 35 წლამდე მოქალაქეებს შეუძლიათ. საბუთების მიღება იწარმოებს შაბათკვირის გარდა ყოველდღიურად. მხარდამჭერი ცენტრი თბილისში "კრწანისის" ბაზა და ქალაქ ქუთაისში მესამე ქვეითი ბაზაა.

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ინფორმაციები იქნა მიღებული ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამვლის ღონისძიებებზე. ითქვა, რომ აპრილის ბოლოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში ტექნიკის გამოყენებით შეწამვლითი სამუშაოები ჩატარდა. ეს უკანასკნელი უამინდობის გამო დროებით შეჩერებულია. მცენარეთა დაცვის სამმართველოს რაიონული დეპარტამენტის სპეციალისტმა მიხეილ სხვიტარიძემ ორშაბათის ტრადიციული თათბირის მონაწილეებს სთხოვა, ინფორმაციები მიაწოდონ სამოქმედო ტერიტორიებზე არსებული უნიკალური ჯიშის კოლხური ბზის ადგილმდებარეობისა და რაოდენობის შესახებ. მარადმწვანე და ძნელად გასახარებელ კულტურას, რომელსაც 2014 წლიდან დაავადება ბზის ალურა გაუჩნდა და გახმობა მასობრივად დაიწყო, უნიკალურ ჯიშს გადაშენება დაემუქრა. მიხეილ სხვიტარიძის თქმით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღნიშნული ტერიტორიების მთლიან შეწამვლას განახორციელებს, რითაც კოლხური ბზის გადარჩენას უზრუნველყოფენ.

თათბირის ბოლოს 14 მაისის დღესასწაული "თამარობა" მიულოცა შეკრებილ საზოგადოებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგურმა. საკათედრო ტაძარში ჯვრისწერის ცერემონია დააანონსა და სამტრედიელ ჯვარდაუწერელ წყვილებს მოუწოდა, სამი წლის წინ პატრიარქის მიერ ოჯახის სიწმინდის დღედ გამოცხადებულ 17 მაისს, რომელიც წელს ამაღლების დღესასწაულს დაემთხვა, ჯვარი დაიწერონ.

# გზების შეკეთება დაიწყო

ქეთევან ჭელიძე



_ ათი წელია, ეს გზა არ შეკეთებულა, გადაადგილება გვიჭირდა. განსაკუთრებით მსუბუქი ავტომანქანები ზიანდებოდნენ ავარიულ ბოგირზე გადასვლისას. ნამდვილად კარგი ფაქტია, გზას რომ გვირემონტებენ. _ გვეუბნება ახალსოფლელი მამუკა ხუჭუა. დასძენს, რომ ამ უბანს მისმა ბაბუამ შეარქვა "ტუტამიწა".

უკვე დაიწყო და მიმდინარე წელს გზები უბნებშიც შეკეთდება, მოხდება მათი მოხრეშვა და დაგრეიდერება. სამუშაოებს გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება აწარმოებს. მისი ხელმძღვანელის, ელგუჯა კალაძის, განმარტებით სამსახური ხარისხიანად და ოპტიმალურ ვადებში ცდილობს მათ დასრულებას. "ამ უბანში 10 კაციანი ჯგუფი მუშაობს. ყველანი მობილიზებულები ვართ. ჩემთან ერთად არიან მთავარი სპეციალისტი დავით ნინუა, წამყვანი სპეციალისტი პაატა კაკაბაძე და სპეციალისტი იური კიკაჩეიშვილი. შეკეთდა 600 მეტრიანი გზა: შეიცვალა ხიდ-ბოგირი, გაიჭრა არხები, მოიხრეშება და დაგრეიდერდება გზა. სირთულეები აგვაცილა თავიდან ახალი ტვირთმცლელის, "მაზის" მარკის ავტომანქანის შეძენამ". _ გვითხრა მან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა და კმაყოფილება გამოთქვა. "იქ, სადაც ასფალტი არ დაიგება, გზები მოიხრეშება". _ აღნიშნა მან. _ "მათი მოასფალტება მომავალ წელსაა გათვალისწინებული. თითქმის ყველა სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქის ტერიტორიაზეც დაიგება ასფალტბეტონის საფარი. პროექტები უკვე შემუშავებულია, რომლებიც რეგიონალური ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის მეშვეობით ფინანსდება და ზაფხულის მთელ პერიოდს მოიცავს".

ახალსოფლის ტერიტორიაზე კიდევ ერთი, 700 მეტრიანი გზის მონაკვეთი გარემონტდა.

# კანალიზაციის პრობლემას სამტრედიაში სპეცტექნიკა აგვარებს

თეა ბაბუნაშვილი

კანალიზაციის პრობლემა სამტრედიის აქილევსის ქუსლია. განსაკუთრებით მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სარდაფები და ზოგადად, მიწისქვეშა კომუნიკაციები, კარგა ხანია, მწყობრიდანაა გამოსული ამ პრობლემის გამო. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და შესაბამისი უწყებები ადგილობრივ დონეზე უკვე წლებია საკითხის მოგვარების გზებს ეძებენ, თუმცა დიდ თანხებთან დაკავშირებული სამუშაოების დაწყება დროში იწელება. აქვე ისიც, რომ გარკვეული შეთანხმებები მათ განსახორციელებლად მიღწეულია.





ამჯერად ლაშა თევზაძის ქუჩის დასაწყისში მდგარი საერთო საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ დაზიანდა მთავარი საკანალიზაციო კოლექტორის შემკრები ჭა. დაზიანების აღმოსაფხვრელად მობილიზებული იყო სპეცტექნიკა. იმერეთი-ქვემო სვანეთის მენეჯერის მიერ ჩამოყვანილი გახლდათ მანქანა, რომელიც ახორციელებდა ქსელის გარეცხვასა და კოლექტორის გაწმენდას. იგი საქართველოს მასშტაბით ერთადერთია. სამუშაოებს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ადგილობრივი ფილიალის საავარიო ჯგუფი ახორციელებდა. იმერეთი-ქვემო სვანეთისა და ლეჩხუმის რეგიონალური ფილიალის მენეჯერი ლაშა გიორგაძე აცხადებს: "500-იანი კოლექტორი, რომელიც ამჟამად გასაწმენდია, ძირფესვიანად გაიწმინდება. ეს სპეცტექნიკა ერთი კვირის განმავლობაში დარჩება სამტრედიაში და სამუშაოები ისე შესრულდება, კარგა ხანი რომ არ დაგვჭირდეს მისი კვლავ ჩამოყვანა."

ქსელის გაუმართაობას გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სამტრედიის ფილიალის მენეჯერი თემურ პატარიძეც ადასტურებს: "მიუხედავად იმისა, რომ უკვე წლებია, მოძველებული საკანალიზაციო ქსელი გვაქვს, რამდენადმე ვახერხებთ პერიოდულად ჩატარებული სამუშაოებით მის შეკეთებას. უკვე მუშავდება პროექტი და მალე დაიწყება სამუშაოები მისი სრული რეაბილიტაციისთვის, რაც აუცილებელია."



მოსახლეობა უკმაყოფილებას დაუფარავად გამოხატავდა. მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია მათ გასაგონად აცხადებდა, რომ: "მოსახლეობის უკმაყოფილება სამართლიანია. თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ მალე მოევლება სამტრედიაში არსებულ საკანალიზაციო პრობლემას, რადგან მუშაობა უკვე დაწყებულია ამ საკითხზე."

კონკრეტულ ლოკაციაზე აღმოფხვრილ პრობლემას ლაშა თევზაძის ქუჩაზე სხვა ლოკაციების გაწმენდითი სამუშაოებიც დაემატა. გარდა ამისა, გასუფთავდა ამ ქუჩაზე არსებული მდინარის კალაპოტი, რომლის მიმდებარედაც გარდა კანალიზაციისა, გაზის მილებიც გადის.

# ეფექტური ბრძოლა!






**თეა ბაბუნაშვილი**

ინტენსიური ბრძოლა აზიური მავნებლის წინააღმდეგ უკვე მეორე წელია პრიორიტეტია ქვეყანაში. გასულ წელთან შედარებით წელს გაცილებით უფრო მობილიზებულია ღონისძიებები, რომლითაც აზიურ ფაროსანას ტყეში, საყანე თუ საკარმიდამო ფართობებში ებრძვიან.

დაბა კულაშში შეწამვლითი სამუშაოები საღამოს დაიწყო. ზოგადად, წამალი, რითაც შეწამვლა ხდება, ადრე დილით ან საღამო ხანს უკეთ მოქმედებს. მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის შეწამვლის პროცესის დაწყებამდე ერთი საათით ადრე შესაბამის პირებს ეცნობებათ და შესაბამისი წესების დაცვისკენ მოუწოდებენ ადგილობრივებს.

სამუშაოები მიმდინარეობს და უკვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 75% შეწამლულია. დასახლებული პუნქტები თერმული ნისლით, ხოლო ტყეები სკაუტის მანქანებით იწამლება. სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი ნოე ივანიაძე უშუალოდ ხელმძღვანელობს მიმდინარე სამუშაოებს. მისი განმარტებით "მუნიციპალიტეტში მობილიზებულია ყველა საჭირო ტექნიკა შესაბამისი სამუშაოების სრულფასოვნად ჩასატარებლად. შეწამვლის პროცესი დაწყებულია და გაგრძელდება მანამ, სანამ სრულიად თუ არა, მნიშვნელოვნად არ აღმოიფხვრება პრობლემა. უკვე მოსახლეობაც ინფორმირებულია და იცის ზოგიერთი მარტივი წესი, მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლას რომ გააადვილებს. ამიტომ მოვუწოდებთ მათ, რომ სახელმწიფოს გვერდით დაუდგნენ პრობლემის მოგვარება უფრო ეფექტური რომ გახდეს."

სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი ივანე კირვალიძე თავად ხელმძღვანელობს შემწამლავ ჯგუფს. სამტრედიაში ამჯერად 6 აგრეგატიანი მანქანა და 2 ტრაქტორი ასრულებს სამუშაოებს. ეს მუნიციპალიტეტისთვის სრულიად საჭირო რაოდენობაა პრობლემის აღმოსაფხვრელად. ივანე კირვალიძე აღნიშნავს, რომ სამეგრელოსა და გურიის რეგიონი ყველაზე მეტადაა ფაროსანათი შეწუხებული. იმერეთში სამტრედია-ვანი-ხონი-ბაღდათია ჩამკეტი ზოლი. ზემო იმერეთს, საბედნიეროდ, ნაკლებად აწუხებს ეს პრობლემა. რაც შეეხება შეწამვლით სამუშაოებს, იგი იმდენჯერ ჩატარდება, რამდენჯერაც საჭირო გახდება! მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია უშუალოდ ესწრებოდა მუშაობის პროცესს. მისი განცხადებით, "შარშანდელთან შედარებით ეფექტი არის. კვირის ბოლომდე მუნიციპალიტეტში ის 35%-იც შეიწამლება რომელიც ამ ეტაპზეა დარჩენილი. თუმცა, ეს სამუშაოების დასრულებას არ ნიშნავს, იმდენჯერ შევწამლავთ, რამდენჯერაც საჭიროება მოითხოვს.

ადგილობრივი მოსახლეობა მიმდინარე სამუშაოებს შედეგიანად თვლიდა.

# საკრებულომ გომელ ფერმერს წარმატება უსურვა

**ლევან გაბეჩავა**

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი კობა ძიძიგური უძღვებოდა 15 მაისს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომას, რომელმაც შვიდი საკითხი განიხილა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 687.00 კვადრატული მეტრი ფართიდან (მიწის უძრავი ქონების, 204,10 კვადრატული მეტრი ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანებისათვის" თხოვების ფორმით უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ, საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა მერაბ ულრელიძემ მოახსენა. მანვე საკრებულოს განსახილველად წარუდგინა საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მთისძირში მდებარე 77 000. 00 კვადრატული მეტრი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ, იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვრა 15 წელი, იჯარის ფორმით სარგებლობაში მიწის ნაკვეთი მურმან წითელიშვილს გადაეცა.

ბატონმა ავთანდილ სტურუამ გომის მაჟორიტარისაგან ამომწურავი ინფორმაცია მოითხოვა მოიჯარე მურმან წითელიშვილის შესახებ.

ბატონმა დავით ამაღლობელმა, გომის მაჟორიტარმა, შრომისადმი მურმან წითელიშვილისა და მისი ოჯახის წევრების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გაუსვა ხაზი. 1992 წლიდან წითელიშვილები ფერმერობით არიან დაკავებულები, აქვთ თხილის პლანტაცია, ფლობენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას... ასე რომ, საკრებულომ მურმან წითელიშვილისათვის მიწის ფართის გადაცემას იჯარის ფორმით მხარი დაუჭირა.

დღის წესრიგში დასმულ სხვა საკითხთა შესახებ, საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მანანა სირბილაძემ მოახსენა.

განხილულ საკითხთა ირგვლივ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო საკრებულომ.



# მდინარე რიონზე ბორანი აღადგინეს



**ქეთევან ჭელიძე**

მერის დავალებით გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებამ მდინარე რიონზე ბორნის აღდგენაზეც იზრუნა. ზამთარში, სტიქიის შედეგად, ბორანი წყალმა ნაპირზე გამოიტანა, დასილული იქნა ბორნის მისადგომი, ხოლო ბაგირი გაწყვეტილი. რადგან საბორნე გზა ერთადერთი უმოკლესია მარცხენა სანაპიროზე არსებულ სახნავ-სათეს ნაკვეთებში მოსახლეობის მოსახვედრად, მათ თხოვნით მიმართეს მერს, შეეკეთებინათ იგი.

მარტო სამტრედიაში კი არა, მთელ საქართველოში ახალსოფლის ბორანი ერთადერთიაო, _ ამბობს ვალერიანე ფოცხვერია. დაინტერესება არსებობს და შეიძლება, ერთხელაც, იგი ტურისტული მიზნებითაც იქნეს გამოყენებული. ჯერჯერობით კი, მისი საშუალებით არა მარტო ადამიანები გადაადგილდებიან, სატვირთო ავტომანქანებიც გადადიან რიონის მეორე მხარეს და პირუტყვიც მისი მეშვეობით გადაჰყავთ საძოვარზე.

წლების განმავლობაში ემსახურება თავის საქმეს მებორნე გენადი კალაძე. ამჯერად იგი ბორნის აღდგენაშიც აქტიურად მონაწილეობს. უკვე აღარც ახსოვს, რამდენჯერ დაზიანებულა ბორანი. როცა კი სტიქია ძლიერდება, ყოველთვის ასე ხდებაო, გვიხსნის და მოსახლეობისთვის ბორნის აუცილებლობაზეც მიუთითებს. სწორედ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტა მუნიციპალიტეტის მერიამ მისი აღდგენა, იმის მიუხედავად, რომ ბორანი სატრანსპორტო საშუალებების სტანდარტებს აღარ შეეფერება.

# საინფორმაციო შეხვედრაზე პრიორიტეტები გამოიკვეთა

**ლევან გაბეჩავა**

15 მაისს სამტრედიაში საინფორმაციო შეხვედრა გამართა ორგანიზაციამ _ "LDA Georgia ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო".

პროექტის მიზანია იმერეთის თორმეტივე მუნიციპალიტეტში საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ასოცირების ხელშეკრულების 21-ე თავის _ "რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე" ირგვლივ.



საქმიან შეხვედრაზე საუბარი იმ პრიორიტეტული საკითხების შესახებ იყო, რეგიონული განვითარების სამინისტროს რომ უნდა წარედგინოს შემდგომი განხილვისა და შესრულებისათვის.

შეხვედრას, რომელზეც სამტრედიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული საკითხები გამოიკვეთა, პროექტის კოორდინატორი მაკა ცერცვაძე უძღვებოდა.

# დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოს!



*ძლივს, ძლივს ამოდის მთვარე სამოთხის*
*ტყვია მიზანში მოსახვედრია,*
*თავისუფლება ისე არ მოდის,*
*თავისუფლება ლომთა ხვედრია.*

*ჯ. ჩარკვიანი*

***საუკუნე სრულდება 1918 წლის იმ ისტორიული 26 მაისის შემდეგ, რაც ამიერკავკასიის სეიმმა უკანასკნელი სხდომა გამართა და ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა.***

***იმავე დღეს, 4 საათსა და 50 წუთზე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, იმავე დარბაზში, სადაც ბოლო სხდომა გამართა სეიმმა, გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა.***

***ეროვნულ საბჭოს ნოე ჟორდანიამ გააცნო "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი", რომლის თანახმად გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.***

***მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა მსოფლიოს დეპეშებით ამცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ფაქტი.***

ახლად შექმნილი სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე გახდა კარლო ჩხეიძე.

1918 წლის ივნისში მთავრობის თავმჯდომარე გახდა ნოე ჟორდანია, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი. იმავე წლის ივნისის ბოლოს ეროვნულ საბჭოს პარლამენტი ეწოდა.

1919 წლის თებერვალში საქართველოში დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა. დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა.

1919 წლის 12 მარტს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გაიხსნა. კრებამ დაადასტურა 1918 წლის 26 მაისის ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი".

1919 წლის 21 მარტს დამტკიცდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:

ნოე ჟორდანია _ მთავრობის თავმჯდომარე;

საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი _ ევგენი გეგეჭკორი;

შინაგან საქმეთა, სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრი _ ნოე რამიშვილი;

მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი _ ნოე ხომერიკი;

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი _ კონსტანტინე კანდელაკი.

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, მხოლოდ 3 წელი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე იარსება საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, თუმცა ეს სამი წელიც საოცრად ნაყოფიერი აღმოჩნდა ქვეყნისათვის.

1918 წლის სექტემბრისათვის დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო სამფეროვანი დროშა. სახელმწიფო გერბად კი _ თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. სახელწმიფო ჰიმნის კონკურსში გაიმარჯვა კოტე (კონსტანტინე) ფოცხვერაშვილის "დიდებამ".

1919 წელს ჩამოყალიბდა სახელმწიფო ბანკი, მოიჭრა დროებითი ფულის ნიშანი _ ბონი.

1918 წლის 3 სექტემბერს თბილისის უნივერსიტეტი გამოცხადდა სახელმწიფო უნივერსიტეტად.

1919 წელს დაარსდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

1920 წელს _ საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა და საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივი.

არაერთხელ აღნიშნულა, რომ დემოკრატიული საქართველოს პირველი (1921 წლის 21 თებერვალს) კონსტიტუცია უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტია კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. კონსტიტუცია 149 მუხლისგან და17 თავისაგან შედგებოდა.



იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ პროგრესულად აზროვნებდნენ საუკუნის წინ დემოკრატიული საქართველოს მესვეურები, კონსტიტუციის იმ მუხლებს დავასახელებთ, რომლებიც დღესაც აქტუალურია დემოკრატიული ქვეყნებისათვის.

მუხლი 1. საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილობისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 3. საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

მუხლი 16. კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია.

მუხლი 19. სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 38. მუშათა გაფიცვა თავისუფალია.

მუხლი 78. სასამართლო დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

მუხლი 39. ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიკური და საოჯახო უფლებებით.

მუხლი 143. არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა.

...

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა ვერაგულად დაარღვია საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებული ნორმები სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტის ცნობასა და პატივისცემას რომ აღიარებს და მოახდინა დემოკრატიული საქართველოს ანექსია _ სამხედრო ძალით დაპყრობა.

იყო მსხვერპლი. დემოკრატიული საქართველოს მთავრობა დევნილობაში პარიზს გაემგზავრა.

...

ეროვნულ სულისკვეთებით დამუხტული ახალგაზრდები არალეგალურად განაგრძნობდნენ ბრძოლას ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ და ცდილობდნენ, აღედგინათ ქვეყნის დამოუკიდებლობა, არ ჩაექროთ ის ცეცხლი, 1918 წლის 26 მაისს რომ აბრიალდა ყოველი ქართველი პატრიოტის გულში.

70 წლიანი კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც კი ერთმორწმუნე რუსეთი არაერთხელ აჩენდა მის ნამდვილ სახეს, ამის ნათელსაყოფად შეგვიძლია დავასახელოთ 1924, 1956, 1989 წლები, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მოვლენები, 2008 წლის აგვისტო და... მავთულხლართები.

...

1991 წლის 9 აპრილი. 2 წელია მხოლოდ გასული 9 აპრილის ტრაგედიიდან.

საქართველოს უზენაესი საბჭო საგანგებო სხდომაზე აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის პოლიტიკური აქტის საფუძველზე.

ეს ფაქტი თავისთავად პატივის გამომხატველია 1918 წლის დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მოღვაწეობისადმი, მათი იდეების ერთგულებისადმი.

...

ვერა და ვერ ეგუება ქართველი სხვათა ბატონობას, მარწუხებს, ასე იყო ოდითგან. ასე იყო 1921 წლის თებერვლის სისხლიანი დღეების შემდეგაც.

რომ არა პატრიოტულად მოაზროვნე ერისშვილები, რომ არა ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ძმანნი მისნი, მათი პოლიტიკური თანამოაზრეები, ისტორიის ქარცეცხლში ჩაინთქმებოდა ყოველივე.

გმირობაა საქართველოს დმეოკრატიული რესპუბლიკის დევნილი მთავრობის საზღვარგარეთული, პარიზული წლები. არა და არ დაივიწყეს მათ ქართული ენა, ისტორია ბედკრული სამშობლოსი. თან წაიღეს ეროვნული განძი საქართველოსი და მხოლოდ მას შემდეგ დაუბრუნეს კანონიერ მფლობელს _ ქართველ ერს, როცა საფრთხე არ ემუქრებოდა საგანძურს.



მეოთხედ საუკუნეზე ოდნავ მეტი გავიდა (1991 წ. 9 აპრილი) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან.

მიუხედავად ურთულესი, გაუსაძლისი წლებისა, მხედველობაში გვაქვს გასული საუკუნის ბოლო და ამ საუკუნის პირველი ათწლეულები, უშუქობა, ქაოსი, ანარქია, ეკონომიკური, პოლიტიკური მოშლილობა, არასტაბილური გარემო, მხედრიონის პარპაში და ა. შ. ჩვენმა ქვეყანამ შეძლო თავი ღირსეულად დაემკვიდრებია მსოფლიოს თანამეგობრობაში. ამის გამოხატულებაა საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში, საქართველოს გაერთიანება ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

შეუქცევადია გლობალიზაცია, თუმცა, სწორედ ამჟამად გვჭირდება ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის, ტრადიციების, ისტორიისადმი საოცარი ერთგულება და პატივისცემა, რათა მცირე ერი არ ავითქვიფოთ პოლიტიკურად, რელიგიურად მრავალფეროვან ჭრელ მსოფლიოში.

...

26 მაისს 100 წელი სრულდება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადებიდან. ერი და ბერი დიდი სიხარულით, აღმაფრენით ეგებება ამ ისტორიულ, დიახაც, ღირსშესანიშნავ თარიღს.

თავს მოწიწებით ვხრით ჩვენი ქვეყნის ერთიანობის, მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის დაღუპული მებრძოლი ქართველობის ნათელი ხსოვნის წინაშე.

თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს გაუმარჯოს!

ლევან გაბეჩავა

***"ეს არს დღე, რომელიც ჰქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამასა შინა.***

***დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა."***

***ასე მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა კირიონ მეორემ 1918 წლის 26 მაისს საზოგადოებას.***

# ოჯახი მცირე ეკლესიად იწოდება

## საყოველთაო ჯვრისწერა სამტრედიაში

ლევან გაბეჩავა

ყველაფერი, წესისამებრ იყო, ჯვარიც დასწერეს, გვირგვინიც დაადგეს და... კვლავაც მარადიული სიყვარული, ერთგულება უსურვეს თითოეულს.

პატრიარქის ინიციატივას 17 მაისს ოჯახის სიწმინდის დღედ გამოცხადების შესახებ საზოგადოება მოწონებით შეხვდა.

ჩოხოსანთა სამტრედიის სადროშოს (ხელმძღვანელი მალხაზ იანტბელიძე) ორგანიზებით ეს დღე სამტრედიაშიც აღინიშნა.

სამტრედიის წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში ის წყვილები შეკრებილიყვნენ, წლებია, ერთად რომ ცხოვრობენ და ხარობენ შვილებითა და შვილიშვილებით.



44 წლის მეუღლეები ვართ, პავლე თავაძემ და ზეინაბ ახობაძემ, სიხარულით მოვიდნენ აქ ორი შვილისა და სამი შვილიშვილის მშობლები და ბებია-ბაბუა.

ოცდათოთხმეტი წელია მეუღლეები არიან მარინა გოგიშვილი და ნიკოლოზ თევზაძე. მათაც ორი შვილი და სამი შვილიშვილი ჰყავთ, მალე მეოთხე შვილიშვილსაც ველოდებითო, გვითხრეს და პატრიარქის ინიციატივის დროულობას გაუსვეს ხაზი.

წმინდა მამათა გამონათქვამებში ოჯახი მცირე ეკლესიად იწოდება, მისასალმებელია სამტრედიაშიც რომ ჰპოვა ასახვა პატრიარქის ამ ინიციატივამ _ გვეუბნება დეკანოზი ანტონი (ვაშაკიძე).

ჯვრისწერა ერთ-ერთი საიდუმლოა შვიდ საეკლესიო საიდუმლოს შორის, კარგია, ეს დღე რომ შედგა, სასიამოვნოა, ამდენ წყვილს ერთად რომ ვხედავთ. ვულოცავ მათ, გვითხრა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ კობა ძიძიგურმა.

ღვაწლმოსილი ინჟინერი რაულ ხუჭუა ამ დღეს აქ ხელის მომკიდის ამპ-

# ბატონი ბიძინა ყოველთვის აქ იყო





**ქეთევან ჭელიძე**

***საქართველოსთვის თუ ქართველების დიდი ნაწილისთვის უჩვეულო და მიუღებელი, მცირე ნაწილისთვის აუცილებლობა, მისი თვითგადარჩენისა და მეტიც, თვითდამკვიდრებისათვის ატეხილმა ხმაურმა მთელი ქვეყანა მოიცვა. თავისუფლების მოპოვების, ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციისა და ელგებეტელთა უფლებების დასაცავად გამართულმა გამოსვლებმა, რამდენიმე დღით, თითქმის ყველა აქტუალური თემა გადაფარა. ხელი ბიძინა ივანიშვილისკენაც გაიშვირეს, პოლიტიკაში დაბრუნება ძალის დემონსტრირებით აღნიშნაო.***

***მოკლედ, ეს ის თემებია, რომელთა ირგვლივ არაერთგვაროვანი მოსაზრებები და კამათი ისევ გრძელდება. ამ ფონზე ჩვენ თბილისში 11 მაისს გამართულ პარტია "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" ყრილობას ვუბრუნდებით და რამდენიმე კითხვით პარტიის სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, მივმართავთ.***

*საქართველოსთვის თუ ქართველების დიდი ნაწილისთვის უჩვეულო და მიუღებელი, მცირე ნაწილისთვის აუცილებლობა, მისი თვითგადარჩენისა და მეტიც, თვითდამკვიდრებისათვის ატეხილმა ხმაურმა მთელი ქვეყანა მოიცვა. თავისუფლების მოპოვების, ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციისა და ელგებეტელთა უფლებების დასაცავად გამართულმა გამოსვლებმა, რამდენიმე დღით, თითქმის ყველა აქტუალური თემა გადაფარა. ხელი ბიძინა ივანიშვილისკენაც გაიშვირეს, პოლიტიკაში დაბრუნება ძალის დემონსტრირებით აღნიშნაო.*

*მოკლედ, ეს ის თემებია, რომელთა ირგვლივ არაერთგვაროვანი მოსაზრებები და კამათი ისევ გრძელდება. ამ ფონზე ჩვენ თბილისში 11 მაისს გამართულ პარტია "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" ყრილობას ვუბრუნდებით და რამდენიმე კითხვით პარტიის სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, მივმართავთ.*

– დიახ, 11 მაისს პარტია "ქართული ოცნების" ყრილობა მთაწმინდაზე ჩატარდა. დღის წესრიგში იდგა განახლებული პოლიტსაბჭოსა და პარტიის თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის, არჩევა.

**– ივანიშვილის დაბრუნება საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში მსჯელობის საგანი გახდა. თქვენ როგორ შეაფასებდით მის ამ ნაბიჯს?**

– ბატონი ბიძინა ყოველთვის აქ იყო, არსად წასულა, საქართველოში იყო და მიმდინარე პროცესებში ყოველთვის ერთვებოდა როგორც "მოქალაქე" და არა როგორც რომელიმე პოლიტიკური თანამდებობის პირი.

**– თუმცა მოსაზრება მისი ზეფუნქციების შესახებ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მუდმივად მუსირებდა.**

– ეს არის ჭორი, სახელმწიფოს ჰყავს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პოლიტიკური პარტია, რომელიც გამარჯვებული პარტიაა. რაც შეეხება ბატონი ბიძინას დაბრუნებას, ეს საზოგადოების მოთხოვნა გახლდათ. აქედან გამომდინარე, იგი ის კაცი არ არის, სადმე დაიმალოს და გადაწყვიტა, პოლიტიკაში დაბრუნებულიყო.

**– პარლამენტის თავმჯდომარე პირველი იყო, ვინც თქვა, რომ დაბრუნდა თუ არა ბატონი ბიძინა, ორ-სამ დღეში სიტუაცია დალაგდა. თქვენი აზრით, ამ "დალაგებაში" რა იგულისხმება?**

– არ ვიცი, არა მგონია, არეულობა ყოფილიყო. შიდა დაპირისპირების შესახებ თვითონ ბატონმა ბიძინამ განაცხადა, თუ თვალყურს ადევნებდით, დასკვნას თვითონ გამოიტანდით. რაც შეეხება რაიმე სერიოზულ დაპირისპირებას, არ ყოფილა. პარლამენტში მოხდა ასეთი რამ ფრაქციებს შორის და ალბათ, ეს იგულისხმა. ზოგადად, ეს ქვეყანა დალაგებულია და არაფერია დასალაგებელი. ბატონ ბიძინას აქვს თავისი ხედვა, მას აქვს ძალიან დიდი ავტორიტეტი როგორც საზოგადოებაში, ისე პარტიაში. აქედან გამომდინარე უფრო იმედიანად არის მოსახლეობა, როდესაც ასეთი ადამიანი მოდის პოლიტიკაში. მეტი პროექტები განხორციელდება, მეტი საქმე გაკეთდება და სახელმწიფო უფრო წინ წავა. ამის განცდა არსებობს საზოგადოებაშიც და პოლიტიკოსებშიც.

**– აქამდე უშლიდა რაიმე ხელს პროექტების განხორციელებას?**

– არც არაფერი და კეთდებოდა კიდეც საქმე. აქ საუბარია იმაზე, რომ პიროვნების ავტორიტეტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩვენი პრემიერიც განსაკუთრებული და ავტორიტეტული პიროვნება გახლავთ. იქ არის კიდევ თბილისის მერი, პარტიის გენერალური მდივანიც, მაგრამ ბატონი ბიძინას ავტორიტეტი მაინც სხვაა.

**– ხელისუფლებისთვის უხერხული განაცხადი ხომ არ არის, სიტუაციების დასალაგებლად პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის ღიად დაბრუნების აუცილებლობა რომ შეიქმნა?**

– მე ასე არ ვთვლი, პირიქით, ბატონი ბიძინას შექმნილია "ქართული ოცნება". ის ჩაუდგა სათავეში მაშინდელ მოძრაობას ხელისუფლების წინააღმდეგ.

**– თქვა, მე წავალ, მაგრამ ისეთ გუნდს დავტოვებ, ყველაფერს უჩემოდაც თავს კარგად გაართმევენო...**

– კი, კი, დატოვა ისეთი გუნდი, ნამდვილად ართმევს კიდეც თავს.

**– პირველი, რაც მან ამჯერად გააკეთა, პოლიტსაბჭოს წევრების რაოდენობის შემცირება იყო.**

– ალბათ, არ იყო პოლიტსაბჭოში ამდენი ადამიანი საჭირო, უფრო მობილური და საქმეზე ორიენტირებული იქნება იგი.

**– შესაბამისად, ეს შეიძლება ადგილობრივ ორგანიზაციებზეც აისახოს?**

– იცით, რომ საერთო ყრილობას წინ უსწრებდა ადგილობრივი კონფერენციები. პარტიის წევრი როცა ხარ, როცა პარტიულ სტრუქტურაში ხარ, სუბორდინაციაც არსებობს და პარტიული დისციპლინაც. თავისთავად ასახვას ჰპოვებს ადგილზეც.

**– მოსალოდნელმა საკადრო ცვლილებებმაც გაიჟღერა. თქვენი ინფორმაციით რამდენად რეალურია შემცირებები ამ ეტაპისთვის?**

– არ ველოდები, კარზე საპრეზიდენტო არჩევნებია მომდგარი.

**– ყრილობის შემდეგ, პირველ რიგში, აქცენტს რაზე აკეთებს პარტიული ორგანიზაცია.**

– აქტივთან მუშაობა დაიწყება საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით. ჯერჯერობით, კანდიდატი არ არის დასახელებული. ამომრჩევლებთან მუშაობაზე გადავალთ. მოხდება პარტიული სტრუქტურების გაძლიერება. წინა არჩევნების ანალიზიდან გამომდინარე, სადაც სუსტი მხარეები გვაქვს, პოზიციებს გავაძლიერებთ.

**– და ბოლოს, სულ ცოტა ხნის წინ თბილისში მიმდინარე მოვლენებს როგორ შეაფასებთ?**

– ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ თავისუფალი აზრის გამოხატვა არ არის აკრძალული, არავინ არავის სცემს და მომიტინგეებს ალყაში არავინ აქცევს. ყველას აქვს თავისი უფლების გამოხატვის საშუალება. დაპირისპირება რომ არ მომხდარიყო, შინაგან საქმეთა მინისტრი მივიდა მომიტინგეებთან. მასთან ერთად კახი კალაძეც იმყოფებოდა. მათ განმუხტეს ვითარება.

პოლიციამ უნდა დაიცვას წესრიგი, თუ დარღვევას დაინახავს, მიიღოს საჭირო ზომები. ამ ბოლო დროს დიდი ზეწოლა მიდის პოლიციაზე. გარკვეულწილად არიან ძალები, რომელთაც საქართველოში უნდათ არეულობა, მათი ავტორიტეტის შელახვა, რაზეც მუშაობს ზოგიერთი პოლიტიკური პარტია. თუ პოლიციამ თავის უფლებებს გადააჭარბა, ყურადღების მიღმა არ რჩება და ისჯება კიდეც. მაგრამ პოლიციელებსაც უნდათ გვერდით დგომა. ისე არ უნდა კეთდებოდეს, როგორც ეს ადრე იყო, მაგრამ წესრიგის დამყარება აუცილებელია, ეს სახელმწიფოს სჭირდება.





ლუაში იყო, რომელმაც სამადლობელი არ დაიშურა უწმინდესის დროული, ბრწყინვალე მოწოდების გამო და ჯვარდაწერილებსაც გულწრფელად მიულოცა ეს დღე.

ჯვარდაწერილებისადმი კეთილ სურვილებს შეუერთდა და "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში" ამაღლება მიულოცა სრულიად საქართველოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ.

## ფონდი აუტიზმის სპექტრის მქონეთა დასახმარებლად

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული დარბაზი სკოლებსა და აღმზრდელობით დაწესებულებებში ინკლუზიური სწავლების პედაგოგებს დაეთმო, რომლებთანაც "მთავარანგელოზ გაბრიელის და პეტრე მოციქულის სახელობის ფონდი" შეხვედრას მართავდა. იგი აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისა და მოზარდებისათვის სარებილიტაციო ცენტრის ასაშენებლად შეიქმნა. უახლესი მოწყობილობებით, სენსორული ოთახებით, თერაპიისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, პროფესიონალებით დაკომპლექტებული დღის ცენტრი 150-ამდე ბენეფიციარს უფასოდ მოემსახურება. გარდა ამისა, ცენტრი გადაამზადებს სპეციალისტებს, რომლებიც აუტისტური აშლილობის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს კომპეტენტური ცოდნით დაეხმარებიან პრობლემის დაძლევაში. გარდა ამისა, სპეციალისტები სისტემატურად იზრუნებენ მშობლებისათვის საჭირო ინფორმაციისა და ცოდნის მიღებასა და ადვოკატირებაზე. "ეს ცენტრი საშუალებას მოგვცემს, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს შევუქმნათ ყველანაირი პირობა ზრდისა და განვითარებისათვის." – აცხადებდნენ ფონდის წარმომადგენლები სამტრედიაში გამართულ შეხვედრაზე.

აქვე განაცხადეს, რომ ფონდი განსაკუთრებულ ყურადღებას რეგიონებში მცხოვრებ ამ სპექტრით დაავადებულ ახალგაზრდებს და მათ მშობლებს უთმობს. "გვექნება მუდმივი კომუნიკაცია, ვიმუშავებთ რეგიონში არსებულ პრობლემებზე, გადავამზადებთ სპეციალისტებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების შესაბამისი სერვისებით უზრუნველსაყოფად." მუდმივი თანამშრომლობა საშუალებას მისცემთ, ზუსტი ინფორმაციები ჰქონდეთ რეგიონებში არსებულ პრობლემებსა და მათ გამომწვევ მიზეზებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი თბილისში შენდება, არ შემოიფარგლება მხოლოდ დედაქალაქით. ამჯერად ფონდის მესვეურები სამეგრელოდან მოდიოდნენ. სექტემბრიდან ხორციელდება პროექტი, რომლის ფარგლებშიც უფასოდ გადამზადდებიან შესაბამისი სპეციალისტები. ფონდის დამაარსებელი თამარ იარაჯული თავად შეხვდა სამტრედიელ არა მხოლოდ პედაგოგებს, არამედ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა მშობლებს. სწორედ მათზე დაყრდნობით იკრიბება ინფორმაციები საჭირო სერვისების შესახებ. სამტრედიაში შეხვედრაზე ფონდის კომუნიკაციების მენეჯერი ქრისტინე ზამბახიძეც იმყოფებოდა, რომელსაც უშუალოდ მშობლებთან აქვს კომუნიკაცია. პიარსამსახურის ხელმძღვანელი ეკატერინე მიქელაძე აცხადებს, რომ მზად არიან დაინტერესებულ პირებთან ნებისმიერ დეტალზე სასაუბროდ.

***თეა ბაბუნაშვილი***

# ახალგაზრდა ვოკალისტის წარმატება

**ქეთევან ჭელიძე**

***ჩემს წინ ოპერის მომავალი ვარსკვლავი ზის. დიახ, თუ თქვენც გეცოდინებათ, როგორი მიზანსწრაფული და პრინციპული ხასიათისაა სალომე ჯულაყიძე, ნათქვამში არ დაეჭვდებით. რასაც ვიტყვი, ყოველთვის ვასრულებო, ამბობს 19 წლის მომღერალი და ხვდები, რომ ამ თბილად მომღიმარი გოგონას უკან ძლიერი, სერიოზული, თავის საქმეზე გადაგებული ახალგაზრდა დგას.***

სალომე ჯერ მხოლოდ პირველი კურსის სტუდენტია, მაგრამ მისი წარმატებებით უკვე დავინტერესდით. იგი ვოკალის ხელოვნებას ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში ეუფლება. სულ ცოტა ხნის წინ მან მონაწილეობა მიიღო სომხეთის ქალაქ გიუმრში გამართულ ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსში. მანამდე იგი ფოთში საერთაშორისო ფესტივალ "ფაზისზე" პირველი ადგილის მფლობელი გახდა. სალომე ჯულაყიძე ცნობილი საოპერო მომღერლის, რამაზ კუბლაშვილის, მოსწავლეა.

"სალომე სოპრანოა, კარგი მონაცემების მქონე. ამ მოკლე დროის განმავლობაში მიაღწია საკმაოდ სერიოზულ წარმატებებს.

რაც შეეხება მის ვოკალურ განვითარებას და ზრდას, საკმაოდ შესამჩნევია მასთან მუშაობის დროს. იგი გამოირჩევა სწრაფი აზროვნებით, რაც გამოიხატება მიცემული დავალების სწრაფად გააზრებასა და აღქმაში. გარდა კარგი ვოკალური მონაცემებისა განსაკუთრებულია თავისი მიზანდასახულობითა და შრომისმოყვარეობით. ეს მე, როგორც მის პედაგოგს მაძლევს იმის ფიქრის საშუალებას, რომ სალომე მიაღწევს დიდ წარმატებას." _ ახასიათებს ახალგაზრდა სოპრანოს ბატონი რამაზი.

ბავშვობიდან იცოდა, რომ მომღერალი გახდებოდა, მღეროდა ყველგან და ყოველთვის. არც სკოლაში სწავლის დროს ჩაუვლია ღონისძიებებს მისი სიმღერის გარეშე. მერე მარინა მუმლაძესთან დაიწყო სიარული. სწორედ ქალბატონ მარინას რჩევით გადაწყვიტა, პროფესიულად განვითარებულიყო, რადგან მას ამისთვის ყველანაირი მონაცემი ჰქონდა. სამუსიკო სკოლაში არასდროს უვლია, ამიტომ იგი დედამ, ნატო ლიუციუკმა თავის ყოფილ პედაგოგს, იზო რუსაძეს, მიუყვანა.



რამაზ კუბლაშვილი, სალომე ჯულაყიძე, მეგი ჭანტურია


სალომე პაატა ბურჭულაძესთან ერთად

"ნიჭიერი, ჭკვიანი, მონდომებულია. ასეთი რომ არ იყოს, ეს შედეგი არ დაიდებოდა". _ აღნიშნავს ქალბატონი იზო. _ "იგი მარინა მუმლაძესთან მღეროდა. ბგერა მან დაამუშავებინა. ამ საკითხში საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის მას. სოლფეჯიო და მუსლიტერატურა სახლში შევასწავლე. ასე რომ, ჩემი შვილობილია. ისეთი საყვარელი გოგოა! მოწესრიგებული, არ ეშლება ადამიანის შეფასება, დაფასება, თითქმის არაფერი. თბილი და ტკბილი ბავშვია. ყველაფერმა ამან შეუწყო ხელი მის წარმატებას."

არ მალავს სალომე, რომ დიდი სურვილი ჰქონდა, საესტრადო მომღერალი გამხდარიყო. მოხდა ისე, რომ ოპერის მომღერლის პროფესია აირჩია. გვარწმუნებს: "ჩემი სპეციალობაა და ასე მგონია, მის გარეშე ვერ ვიცოცხლებ, ძალიან მიყვარს. ყველა კურსზე შესაბამისი პროგრამით მიმდინარეობს სწავლება, მაგრამ მე მეტი ძლიერი პროგრამა მინდა მქონდეს და მეტი რთული არიები შევასრულო".

ის ჯერ მხოლოდ იწყებს, მაგრამ ყოველი მისი გამოსვლა წარმატებულია, როგორც კოლეჯში გამართულ კონცერტებზე, ისე იმ საერთაშორისო ფესტივალებზე, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ. დამწყები მომღერალი მადლიერებას გამოხატავს მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას, მისამართით, რომელმაც ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი თანხით საშუალება მისცა პერსპექტიულ ახალგაზრდას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სასომხეთში წასულიყო.

"საქართველოდან მარტო მე ვიყავი, თანაც ასაკით ყველაზე უმცროსი და შედარებით გამოუცდელი. ამიტომ გამარჯვებაზე არ მიფიქრია და არც ადგილს ველოდებოდი. ზოგადად, ჩემთვის კონკურსში მონაწილეობა გამოცდილების მისაღებად იყო კარგი". _ გვეუბნება სალომე, თუმცა პირველივე ბგერიდან მიიპყრო ევროპის რამდენიმე ქვეყნიდან ჩამოსული ჟიურის წევრების ყურადღება და მეორე ადგილიც დაისაკუთრა.

პატივისცემით საუბრობს სტუდენტი თავის მაესტრო რამაზ კუბლაშვილზე: "ჩემთვის მისაბაძი ადამიანია, ძალიან თავმდაბალი, 40 წელი იყო ქუთაისის საოპერო თეატრის სოლისტი. ჩემთან დაკავშირებით მას დიდი გეგმები აქვს". არც კონცერტმეისტერ მეგი ჭანტურიას უკარგავს ამაგს, მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ჩემს წარმატებაშიო, დასძენს. თბილ სიტყვებს არ იშურებს მარინა მუმლაძისა და იზო რუსაძისადმი. მათ განსაზღვრეს მისი, როგორც მომღერლის მომავალი.

სალომე ჯულაყიძეს კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ იოლი არ არის, პროფესიონალი მომღერალი გახდეს. დაოსტატება დიდ შრომას ითხოვს. მისი მიზანია, უცხოეთში გააგრძელოს სწავლა. სად? ჯერ არ გადაუწყვეტია. ემაყება უმაღლესი სამუსიკო კოლეჯის სტუდენტობა, სადაც სწავლების მაღალი სტანდარტები არსებობს. კვალიფიკაციისათვის და მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებისათვის იგი ხშირად სტუმრობს ქუთაისის საოპერო თეატრსაც.

თავისუფალ დროს სალომე ისევ და ისევ სიმფონიურ მუსიკას უსმენს. წიგნების კითხვაც უყვარს და მეგობრებთან ურთიერთობაც. მალე იგი დომენტი შანიძის სახელობის №1 სამუსიკო სკოლაში გამართულ კონცერტში მიიღებს მონაწილეობას. სამუსიკო კოლეჯში კი თავის ჯგუფთან ერთად მრავალფეროვანი რეპერტუარით წარსდგება მსმენელის წინაშე.

# ვინ წერს წიგნებს?

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი ბაგა-ბაღები და შესაბამისად სკოლამდელები, მუნიციპალიტეტის მესვეურთაგან ყოველწუთიერი მზრუნველობით რომ არიან მოსილნი, ცხადზე უცხადესია.

მეთერთმეტე ბაღი, მმართველი ჟოზეფინა კარტოზია ერთ-ერთია მისი პროფილის დაწესებულებებს შორის, ნორჩებისადმი განსაკუთრებული ზრუნვით რომ იცნობენ.

ბაღში ამჯერად 96 აღსაზრდელია.

ღია საჩვენებელ მეცადინეობაზე მიგვიწვიეს აქ ამ დღეებში.

მეთოდურად, ესთეტიურად მოურთავთ დარბაზი. "დღეს უფროსი ჯგუფის მოსწავლეთა ღონისძიებას შემოგთავაზებთ, "ვინ წერს წიგნებს?" _ ასე ჰქვია პროექტს", განმარტა მმართველმა და აღმზრდელს, მაია მეგენეიშვილს, აღმზრდელის თანაშემწეს ქეთევან პაიკიძეს, მუსიკის მასწავლებელს, მაია გურიელიძეს გარჯა შეუქო.



ტევადი, თუმცა არა მოსაწყენი იყო ღონისძიება, მის ხანგრძლივობას, ჩვენი აზრით, ის ამართლებდა, რომ საჩვენებელი ღონისძიება იყო და როგორც ღონისძიების მომწყობნი, ისე აღსაზრდელები ცდილობდნენ, ერთი წლის მანძილზე ნასწავლით მოეწონებიათ თავი.

ვინ წერს წიგნებს? რისგან მზადდება წიგნები? რამდენი დროა, თვეა წელიწადში? რა ჰქვია კვირის დღეებს?.. ერთი სიტყვით, ბევრ საინტერესო კითხვას გასცეს ნორჩებმა პასუხი და შესანიშნავად მიიტანეს დამსწრეებამდე იმ შრომის შედეგი, რაც ღონისძიების მომზადებაში ჩართულმა აღმზრდელებმა გასწიეს.

წიგნს მწერლები, პოეტები წერენ, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო და ახალგაზრდა პოეტი ბექა ფოცხვერია მიიწვიეს მეთერთმეტე ბაღში.

"სამტრედიის მაცნეში" წავაწყდი წერილს ბექაზე და მაშინვე მივიღე გადაწყვეტილება, იგი ჩვენთან მოგვეწვიაო, ქალბატონმა ჟოზეფინამ.

თბილად მიესალმა პატარებს პოეტი და საბავშვო ლექსები წაუკითხა მათ.

ლამაზმა სიმღერებმა დაამშვენა ლამაზი ღონისძიება.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ხათუნა გაგუამ და გაერთიანების წარმომადგენელმა მეთოდურ რჩევებთან ერთად დადებითი შეფასება მისცეს ღონისძიებას.

მმართველისაგან შევიტყვეთ, რომ უფროს ჯგუფში წელს 21 ბავშვია, ანუ 21 აღსაზრდელს დაულოცავენ სკოლისაკენ გზას.

სასიხარულოა, რომ მომავალი სააღმზრდელო წლიდან უფრო ბევრი ბავშვი შემოვა ბაღში, ანუ კონტინგენტის მატებას ელიან.

დიდხანს ხმიანობდა გონებაში პატარების წკრიალა ხმა.

**ლევან გაბეჩავა**

# სტუმრად წიგნებთან... ბიბლიოთეკაში

სახელოვან ტრადიციებს არ ღალატობს ნაბაკევის საჯარო სკოლა.

ამ დღეებში ამ სკოლის მეორეკლასელები, პედაგოგ მაია გაგუას ხელმძღვანელობით, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას ეწვივნენ.

ბიბლიოთეკის დირექტორი ლამარა დუნდუა და თანამშრომლები თბილად მიესალმნენ პატარებს, მათ მშობლებს და საგამოფენო დარბაზი, წიგნთსაცავები დაათვალიერებინეს მათ.

საინტერესო აღმოჩნდა ექსკურსია ბიბლიოთეკაში ჩვიდმეტივე მეორეკლასელისათვის.

ბავშვებმა ხატოვნად ისაუბრეს უკვდავი "დედაენის" შემქმნელის, იაკობ გოგებაშვილის შესახებ. ომახიანად ნათქვამი ლექსებით შეჰფიცეს მამულს ერთგულება და მშობლიური ენისადმი მათ დამოკიდებულებასაც გაუსვეს ლექსებითვე ხაზი.

აუცილებელია ითქვას, რომ ქალბატონი მაია ხშირად ანებივრებს მოსწავლეებს საინტერესო აქტივობებით.

წლების წინათაც გვინახავს ის თავის აღსაზრდელებთან ერთად მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში, რაც უდავოდ მისასალმებელია.

სამუდამოდ თუ არა, დიდხანს ნამდვილად ემახსოვრებათ ნაბაკეველ მეორეკლასელებს პირველი სტუმრობა მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და აქ მიღებული პირველი შთაბეჭდილებები.

სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს სტუმარ-მასპინძლებმა დამშვიდობებისას.

**ლევან გაბეჩავა**



ჩემი უნივერსიტეტი

# შვილის ჭარბი სიყვარული ასწლოვანი მშობლის მიმართ

**ლევან გაბეჩავა**

***მართალია, თებერვალში დედაუნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წელი შესრულდა, თუმცა როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ საიუბილეო ღონისძიებები კვლავ გრძელდება.***

***გრძელდება ჩვენი რუბრიკაც, რომელიც ამჯერად საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტდამთავრებულ სამ თაობას მასპინძლობს. ჩვენი რესპონდენტი სამტრედიასა და ქვეყანაში ცნობილი და მოთხოვნადი იურისტი, ადვოკატი ქალბატონი ლალი თადუმაძეა, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ჩინებული მოსაუბრეა, თუმცა დრო ყოველთვის ცოტა აქვს და ჩვენთან საუბრის დროსაც არაერთხელ მოუხდა ეპასუხა სატელეფონო ზარებისათვის.***

***დედისა და საკუთარი სტუდენტობის წლებს იხსენებს ქალბატონი ლალი თადუმაძე.***

ჯერ ბიძაჩემი ავთანდილ ლეჟავა გახდა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, რამდენიმე წლის შემდეგ მისი უმცროსი და _ ლეილა ლეჟავა ჩაირიცხა ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

ამ თაობის სტუდენტებს განსაკუთრებული პატივი ერგოთ წილად.

მათ ლექციებს უკითხავდნენ ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ: ივანე ბერიტაშვილი, ნიკო მუსხელიშვილი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, არჩილ ხარაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები.

ხრუშჩოვის მიერ ქართული ეროვნული თავმოყვარეობის შეურაცხყოფად იქნა აღქმული იოსებ სტალინის კულტად გამოცხადება.

უნივერსიტეტი სტალინის სახელს ატარებს ამ პერიოდში.

იმ დღეს სულ რაღაც ნახევარი საათით გავასწარი რუსი ჯარისკაცების მი-



ერ მიტინგის დარბევის პროცესს.

მომღერალთა ჯგუფში ვიყავი და ამის გამო დასასვენებლად შინ ცოტა ადრე მომიწია წასვლა. დაიღუპა ათობით ახალგაზრდა, მათი ცხედრები მტკვარში გადაყარეს, რამდენიმე ჭირისუფალმა შეძლო მხოლოდ მიცვალებულების დატირება.

10 მარტს ისეთივე მდუმარე იყო თბილისი, როგორც 1921 წლის 25 თებერვალს, როცა "თოვდა და თბილისს ებურა თალხი". _ დედის ნაამბობს მოგვითხრობს ქალბატონი ლალი.

80-იანი წლების აწ უკვე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შენარჩუნებულია ქართული თვითმყოფადობა.

ნოყიერი ნიადაგი იქმნება ეროვნული მოძრაობისათვის.

9 მარტისაგან განსხვავებით, საქართველოს სახელმწიფოებრივი გაგება ჩამოყალიბებულია, უკვე დამოუკიდებლობას მოვითხოვთ და არაერთი რომელიმე პიროვნების ღირსების დაცვას.

1988-1989 წლებში, _ საუბარს განაგრძობს ქალბატონი ლალი, _ მე მინახავს მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას გამოსვლები სააქტო დარბაზში.

9 აპრილის ტრაგედიას კი, მეც შემთხვევით გადავურჩი, ერთ შემთხვევაში ზვიადი და მერაბი მილიციელებმა ჩვენს თვალწინ დაიჭირეს.

ჩემი სტუდენტობისას განსაკუთრებუ-



ლი პოპულარობით აკაკი ბაქრაძის ლექციები სარგებლობდა, რომლებიც დიდ სააქტო დარბაზში ტარდებოდა. და მაინც დიდი გამართლება იყო იქ მოხვედრა.

ჩამოვყალიბდით თაობად, რომლისთ-



ვისაც მთავარი ღირებულებები ტაბუდადებული თემების გაგებით, გაანალიზებით და საქართველოს სახელმწიფოებრიობის თვალსაწიერიდან დანახვით ყალიბდებოდა.

ლექციებს გვიკითხავდნენ პროფესორები: რ. შენგელია, ზ. წულაია, ვ. აბაშმაძე, მ. ლეკვეიშვილი, ა. ლაბარტყავა და სხვები.

პირველი, ვინც აუდიტორიას განუცხადა, რომ აუცილებელია საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და საქართველოს დატანა პოლიტიკურ რუკაზე, გახლდათ პროფესორი მ. კეკელია, რაც მაშინ, როცა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი არსებობდა, დიდი გამბედაობა იყო.

მე თანაკურსელებთან ერთად იმ დარბაზში ვიჯექი, სადაც ტრანსკავკასიის შემოვლითი გზის გაყვანის მომხრეებს ჭაბუა ამირეჯიბიც ახლდა.

ამ პოზიციის გამო ფილოლოგმა გოგონამ ასეთი კითხვა დაუსვა მას:

_ თქვენ "დათა თუთაშხია" წაკითხული გაქვთ?

ეს ფრთიანი ფრაზა დღესაც სიცოცხლისუნარიანია.

რამდენჯერმე მოგვიწია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დაცვა, რომელსაც საწვრთნელად იყენებდნენ საბჭოთა ჯარისკაცები.

სხვათა შორის, ჩემი სტუდენტობისას მტკივნეულად დაისვა საკითხი ერთმორწმუნეობის ფენომენის შესახებ.

ვერ აგვეხსნა, რატომ ანგრევდნენ ქრისტიანი რუსი ჯარისკაცები ქართულ ქრისტიანულ სამონასტრო კომპლექსს.

გადის კიდევ რამდენიმე წელი და საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს ამთავრებს ჩემი ქალიშვილი _ სალომე ადეიშვილი.

გავიდა წლები, დღეს უკვე დამსახურებულ პენსიაზე მყოფი ღვაწლმოსილი ეკონომისტი, ქალბატონი ლეილა ლეჟავა, რომელიც წლების მანძილზე მთავარ ეკონომისტად მუშაობდა, თბილად იგონებს სტუდენტობას.

აქ თქმულის მიუხედავად მოსაგონებელი კვლავაც ბევრი აქვს ქალბატონ ლალისაც, რომელიც ამჯერად საერთო სერთიფიცირების ადვოკატია და მაქსიმალურად ცდილობს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა, სრულიად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობაში.

რაც შეეხება ქალბატონ სალომეს, იგი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორია.

ასეთია ერთი ოჯახის სამი თაობის მოკლე ისტორია, რომელიც საქართველოს დედაუნივერსიტეტს, იქ გატარებულ სტუდენტობის განუმეორებელ წლებს უკავშირდება.

## "მემთექს ჯორჯიას" სამკერვალო ფაბრიკის პერსონალმა სისხლი უანგაროდ გაიღო

დაბა კულაშში, თურქული კომპანიის "მემთექს ჯორჯიას" სამკერვალო ფაბრიკაში 225 ადამიანია დასაქმებული. ეს ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელია ჩვენს მუნიციპალიტეტში. ფაბრიკაში ჩატარდა სისხლის უანგარო დონაციის აქცია დევიზით "გაიღე სისხლი სიცოცხლის გადასარჩენად". აღნიშნულ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა მიიღო "მემთექს ჯორჯიას" ხელმძღვანელობამ და მომსახურე პერსონალმა. ამ აქციის ფარგლებში სისხლის ბანკში სოლიდური სისხლის კომპონენტების მარაგი შეიქმნა, რაც სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის ძალიან სასიხარულო ფაქტია. 40-მდე ადამიანმა გაიღო სისხლი სიცოცხლის გადასარჩენად.

ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის "სამტრედიას" დირექტორი ლაშა კვანტალიანი: "ჩვენი სისხლის ბანკის დამფუძნებლის, ნატალია კვანტალიანის სახელით, რომელიც წარმოშობით კულაშიდან არის, ასევე ჩვენი დიდი კოლექტივის სახელით მადლობას მოვახსენებთ თურქულ კომპანია "მემთექს ჯორჯიას" ხელმძღვანელობას, ქალბატონ სეზენ მანაფს, აქციის ორგანიზებისა და ხელშეწყობისათვის. ასევე ყველა უანგარო დონორს, მათი წვლილი დიდია და ნამდვილად საგმირო საქმეა უანგარო დონორობა. აღნიშნული აქცია პერმანენტულად ჩატარდება. ვიმედოვნებთ, სხვადასხვა დაწესებულებებიც შემოგვიერთდებიან. საქართველოს მასშტაბით სისხლის ბანკი სულ რამდენიმე დიდ ქალაქშია, აქედან იმერეთის რეგიონში მხოლოდ ქუთაისსა და სამტრედიაშია, რაც ნამდვილად საამაყოა ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. სახელმწიფოს სტრატეგია და მიზანია, რაც შეიძლება მეტად იყოს საზოგადოება ინფორმირებული და ჩართული ამ პროცესში, სისხლის უანგარო დონაციის პროცესში. ჩვენ სამსახურს მოკრძალებული წვლილი შეაქვს აღნიშნულ საქმიანობაში, ვემსახურებით საქართველოს წინსვლასა და კეთილდღეობას".

**ნათია ნაცვლიშვილი**







სურათი სამტრედიაში, ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისში არსებულ სკვერშია გადაღებული. მასზე გამოსახული ლამაზი ბიჭუნა კი ალექსანდრე (სანდრო) შენგელიაა. მუხის ხე, რომლის წინაც ის დგას, მისმა დიდმა ბაბუამ, მაშინდელი რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მთავარმა ინჟინერმა, ჩვენი რაიონის კოლორიტმა პიროვნებამ მიხეილ პეტრეს ძე კოპალეიშვილმა (მიხეილ "პეტროვიჩი") 1986 წელს დარგო. მაშინ ვერც წარმოიდგენდა, რომ მის შთამომავლობას ამ ხესთან სურათის გადაღებისა და მისი ტრადიციად ქცევის სურვილი გაუჩნდებოდა. გავა წლები და ამ კეთილშობილური ჩანაფიქრის გასაგრძელებლად მის წინ კვლავ დადგებიან დიდი მიხეილ "პეტროვიჩის" და დღევანდელი პატარა სანდრიკას შთამომავლები: ია, მერაბი, ქეთევანი, ნათია, ზვიადი, დაჩი, მარიამი, ნიკოლზი, ნია და ასე შემდეგ და ასე შემდეგ გაგრძელდება უსასრულოდ, რამეთუ მუხის ხის ჯიში 400-500 წელიწადს ხარობს.

იხაროს, იხაროს, იხაროს, ამინ!..

**ბორის ფოცხვერაშვილი**

# "ამ ანტინომიურ სამყაროში გზა უნდა გაიკვლიოთ"

ნათია ნაცვლიშვილი

***სიტყვათა კომბინაციას "ბოლო ზარი" არ ვეთანხმებიო, ბრძანა ახალგაზრდების დიდმა მეგობარმა და საუკეთესო მრჩეველმა დეკანოზმა ანტონ ვაშაკიძემ, როცა მესამე საჯარო სკოლის მეთორმეტე-ა კლასის გამოსაშვებ საღამოზე იმყოფებოდა. მართლაც, უჩვეულოდ ლამაზი დღე იყო, ემოციის დიდი აფეთქების, გულში ჩაგუბებული სიყვარულის ლექსად, სიმღერად და ცეკვად ამოფრქვევის... დედები ამ დღეს აღმოაჩენენ, რომ მათი ვაჟები განსაკუთრებულად დავაჟკაცებულან, გოგონებიც უკვე დიდი გოგოს იმიჯს ირგებენ. ერთადერთი, ვინც ყველაზე მეტად გულნატკენია ამ პროცესში, მასწავლებელია... სევდიანი იყო ამ მოსწავლეთა დამრიგებელიც.***





ცრემლებით გააცილა თავისი მოსწავლეები მანანა ქომეთიანმა, რომელიც 4 წელიწადია მათი დამრიგებელია. ესენი ძალიან პოზიტიურები, ჭკვიანები, ენერგიულები არიან. წარმატებით ჩააბარეს მე-11 კლასში გამოცდები, ამ ბავშვების უმრავლესობა ეროვნულ გამოცდებზე მათემატიკას და ფიზიკას აბარებს არჩევით საგნად, ეს კი ნიშნავს, რომ საოცრად კარგი და ძლიერი ნაკადია. ამ 20 ბავშვიდან 4 ოქროს და 1 ვერცხლის მედალოსანია."_ განაცხადა "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში მანანა ქომეთიანმა. ჯანსაღი ცხოვრების წესი რომ ამ ახალგაზრდებისთვის უპირველესია, ამას კლასის ორი წარმატებული სპორტსმენი, გიორგი ლომიძე და ომარ ჯანელიძეც ადასტურებს. ისინი სამტრედიის "სამტრედიას" წევრები არიან. გიორგი საქართველოს ნაკრების წევრია და "დინამოს აკადემიის" ყოფილი ფეხბურთელი.



ღონისძიების სცენარზე პედაგოგმა კახა გალდავამ იმუშავა, ვოკალში ბავშვებს დაეხმარა სტუდია "გოლდენ ვოისის" ხელმძღვანელი, ედუარდ გეგუჩაძე. ქორეოგრაფიაში კი მარი შენგელია და ქრისტინე ზაქრაძე დაეხმარნენ.

ბრწყინვალე იყო მესამესკოლელთა შესრულებით "ჯეირანი", "აჭარული", ცეკვების პოპური, შესანიშნავად შესრულდა ცეკვა ქართული. ბოლო ზარს არც მშობელთა ჩართულობის გარეშე ჩაუვლია, მშობლებთან ერთად ბავშვებმა ბრწყინვალედ შეასრულეს "ლეკური". მოსწავლეებმა, ისევე როგორც მასწავლებლებს, მშობლებსაც მადლობა გადაუხადეს თანადგომის, მხარდაჭერისა და უსაზღვროდ დიდი სიყვარულისათვის. განსაკუთრებულად კი თავიანთ პირველ მასწავლებელს გულიზა ჯიმშელეიშვილს მოეფერნენ. არც სამშობლო დავიწყნიათ, მისადმი სიყვარული ოთარ ჭილაძის შესანიშნავი ლექსით გამოხატეს. მარიამ ბერძენიშვილი ახალგაზრდობისადმი მიძღვნილი ეკა ბაქრაძის ულამაზესი ლექსით წარსდგა შეკრებილთა წინაშე და აპლოდისმენტები დაიმსახურა. შეასრულეს სიმღერები თანაკლასელებზეც, მანანა ქომეთიანმა საყვარელ ბავშვებს სამახსოვრო ვიდეორგოლიც მოუმზადა.



ერთი სიტყვით, ცეცხლოვანი ცეკვებითა და ლამაზი სიმღერებით მართლაც მოიხიბლა მრავალრიცხოვანი პუბლიკა. სცენის წითელი ხალიჩის გარშემო, სკოლის ეზოში მაყურებელი მრავლად შეკრებილიყო. სადაც უნიჭიერესი რამაზ შენგელია ვირტუოზობს თავისი ვიოლინოთი, იქ ყოველთვის ბევრი აპლოდისმენტია. ასე იყო ამჯერადაც. "ცხოვრება 5 წუთში" _ ასე ერქვა სახალისო ვიდეოს, სადაც ფოტოებით იყო გადმოცემული ამა თუ იმ პედაგოგის დამახასიათებელი თვისებები, მათი ქცევები, ჰობი და სხვა... ამ ფოტომონტაჟის მიხედვით სკოლის დირექტორს, ვენერა ივანიშვილსა და პედაგოგ თეა კუპრეიშვილს უნდა გამოეცნოთ პედაგოგების ვინაობა. ამ ამოცანას ორივე გამომსვლელმა შესანიშნავად გაართვა თავი. "ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ ძვირფასო ახალგაზრდებო, დღევანდელი დღე თქვენთვის მართლაც დაუვიწყარია, უკვე ცხოვრების ახალ გზაზე გადიხართ, წინ ბევრი დაბრკოლება შეგხვდებათ, მე რომ გიყურებთ თქვენ, მწამს და მჯერა, ყველა დაბრკოლებას გაართმევთ თავს, თქვენ დიდი წინააღმდეგობა შეგხვდათ, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაყარეთ და წარმოგვიდგინეთ ასეთი მშვენიერი საღამო. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ ლამაზი საღამოს მომზადებაში მიიღო მონაწილეობა." _ ასე დაულოცა გზა მოსწავლეებს ქალბატონმა ვენერა ივანიშვილმა.

დეკანოზი ანტონი (ვაშაკიძე): "ახალგაზრდებო, დღეს შედგა თქვენი რეპერტუარი, ყველაფერი ძალიან კარგი იყო, სიტყვა "ბოლო ზარი" ყურს კარგად არ ხვდება, ქრისტიანულ სიმბოლიკაში ზარის ხმა არის მარადისობის ძახილი! ცხოვრების გზაზე თქვენ, რა თქმა უნდა, შეგხვდებათ ბევრი წინააღმდეგობა, სამყარო ანტინომიურია, ერთმანეთს არ ეთანხმება სიტყვა და საქმე, ოცნება და შესაძლებლობა, სწორედ ის არის გმირობა, ასეთ სამყაროში გაიკვლიოთ გზა, დღეს ჩვენს სამშობლოს სჭირდება ასეთი ადამიანები".

სამტრედიის რაიონული პროკურორი, მალხაზ გეწაძე: "გილოცავთ ახალგაზრდებო ერთ-ერთ საუკეთესო ხანას თქვენს ცხოვრებაში, თქვენ შედიხართ ყველაზე ტკბილ და საინტერესო ხანაში, რომელსაც სტუდენტობა ჰქვია. ყველას უდიდეს წარმატებას გისურვებთ ცხოვრების მანძილზე, ჩვენ მუდამ თქვენს გვერდით გვიგულეთ!"

# "სამშობლოზე ზრუნვა ხომ უკვე ჩვენი ვალია"

ნათია ნაცვლიშვილი

***ამჯერად მეთერთმეტე სკოლაა ჩვენი მასპინძელი! ჟურნალისტური აზარტიც მიმძაფრდება, თუ რომელი სკოლის რომელი დამამთავრებელი კლასის ღონისძიება იქნება საუკეთესო... ღმერთმა კონტინგენტი უმრავლოს ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლებს! სამტრედიას ამ თვალსაზრისით მართლაც შეუძლია დაიტრაბახოს _ ყველა "ბოლო ზარის" ღონისძიება თავისებურად შინაარსიანი და საინტერესოა!***



მეთერთმეტე სკოლის მეთორმეტე-ა კლასის ენერგიული და მუხტიანი საღამოს წამყვანები მარიამ სანიკიძე და ოთო ბუაძე იყვნენ. როცა კლასში "ნიჭიერის" ფინალისტი, უკვე ცნობილი რეპერი ოთო ბუაძეა, ეს უკვე ნიშნავს, რომ ღონისძიება მართლაც მხიარული და სუპერენერგიული იქნება. მართლაც არწივებივით ფრენდნენ მოცეკვავე გოგო-ბიჭები. ბრწყინვალე იყო მათი შესრულებით ხევსურული თუ აჭარული, ასევე ლათინური ცეკვა. სოფო კოხრეიძემ თითოეული თანაკლასელის დახასიათება ლექსად წარმოადგინა, რამაც ძალიან გაამხიარულა პუბლიკა. ბრწყინვალე იყო იუმორისტული სკეტჩი, სადაც ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერეს მოსწავლეებმა 90-იანი წლების უშუქობა-უგაზობა-უწყლობის, "მხედრიონის" ბობოქრობის მძიმე პერიოდი და ამ ფონზე საგაკვეთილო კლიმატის თავისებური ცვლილებებიც. "დენი მარტო შენთან არის, შე მადლიანო" _ უმღერიან სამტრედიას ბავშვები, სხვადასხვა ხმაზე "კაკანებს" ავტომატიც და პედაგოგიც, მასწავლებელი ჯგუფს აფრთხილებს: ხვალ დირექტორის დაბადების დღეა და ნახევარი პური მოიტანეთ, ხომ იცით, "გარბუშკა" უყვარსო. _ ტალონი არ შეიძლება? იკითხავს მოსწავლე... _ ვის გაყევი, რომ გათხოვდი შვილო? ეკითხება მასწავლებელი გოგონას. _ დავრჩი მას, არ ვიცი ვინაა, მაგრამ კიტოვანის ნათესავიაო და... ამ სახალისო დიალოგებით აწყობილი სანახაობის შემდეგ რეპის ტონალობაში პირობა დაგვიდეს ახალგაზრდებმა: "სამშობლოზე ზრუნვა ხომ უკვე ჩვენი ვალია, ეს მეთერთმეტე სკოლის საუკეთესო კლასია". ხვალ ცხოვრება ამ ბავშვებს მართლაც შესთავაზებს ახალ-ახალ გამოწვევებს. როგორც მათი დამრიგებელი, სპორტის პედაგოგი, მანანა ტყეშელაშვილი ამბობს, ისინი თავიანთ სიტყვას იტყვიან ქვეყნის სასიკეთოდ. მანანა ტყეშელაშვილი: "გასულ წელს ქალბატონმა ლენამ ამ ბავშვების დამრიგებლობა შემომთავაზა, განსაკუთრებული პატივი იყო ჩემთვის, რომ ბავშვებმა თვითონვე ამირჩიეს. მართლაც საუკეთესო ნაკადია, ამ კლასს 4 ოქროს და 5 ვერცხლის მედლის კანდიდატი ჰყავს, ვუსურვებ მათ, მართლაც ღირსეულ ქართველობას და ქვეყნის დიდ სიყვარულს."





ბავშვებს მათი დაწყებითების პედაგოგები, თამილა კახიანი და ლალი პირტახია მიესალმნენ და გზა დაულოცეს. ასევე გამოხატეს სიყვარული და პატივისცემა მათდამი პედაგოგებმა ციცინო თარგამაძემ და ციალა შამუგიამ. ციალა შამუგია: "მე-5-დან მე-10 კლასის ჩათვლით ჩვენ ერთი გზა გავიარეთ, ეს გზა სიყვარულზე, ზნეობაზე, მაღალ იდეალებზე გადიოდა, ამ ცნებების ერთგულებაში თქვენ ერთმანეთს ტოლს არ უდებდით, ერთმანეთზე უკეთესები იყავით, დღეს ყველა პედაგოგი სიყვარულით გაცილებთ ჩვენს საამაყო ახალგაზრდებს, სინანული ახლავს ამ საზეიმო განწყობას, მე მჯერა თქვენი კარგი ქართველობის, სიმართლის გზით გევლოთ, სამშობლო არ დაივიწყოთ, სხვანაირად არ ეგების!" _ "მარად გახსოვდეთ, ვისი გორისანი ხართ!" _ კიდევ ერთხელ შეახსენა ახალგაზრდებს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ნანა მანჯგალაძემ და გზა დაულოცა.

სკოლის დირექტორი, ლენა ხაჟალია: "ბავშვებო, ყველა ჩვენგანის დიდი სიყვარული მიგყვებათ, მუდამ წარმატებულებს გევლოთ, უკვე ცხოვრების დიდ ასპარეზზე გახვედით! არაჩვეულებრივი, ლამაზი ბოლო ზარი გქონდათ, შესანიშნავი მიგნებებით. მჯერა, ყველა თქვენს წინაშე მდგარ პრობლემას ადვილად გადალახავთ, გკოცნით და გეფერებით ყველას."

საზეიმო სცენარზე "კომედი-შოუს" მსახიობმა, თემუკა პატარიძემ და რამზეს კილასონიამ იმუშავეს, მთელი პროცესის ორგანიზატორი აკაკი საღინაძე იყო. ქორეოგრაფიაზე ქრისტინე ზაქრაძემ იმუშავა.

# ჩხენიშის სკოლელთა "კონკიამ" პუბლიკა მოხიბლა

ნათია ნაცვლიშვილი

***საფრანგეთის, ესპანეთის, ჩინეთის, ნორვეგიის... პრინცესები ულამაზესი საკარნავალო კაბებით, პრინცები დახვეწილი სამოსითა და ქცევის ეტიკეტით აქ არიან, რომ მისტერ კიტის და ობოლი გოგონას, კონკიას ბედნიერება და სიხარული გაიზიარონ. სასცენო დეკორაციები ეპოქას უზუსტესად აცოცხლებს... დიახ, არც მეტი და არც ნაკლები, ეს ყველაფერი ჩხენიშის საჯარო სკოლის სცენაზე ხდება. დირექტორის, სვეტლანა ტყვაცირიას და სკოლის პედკოლექტივის ერთობლივმა შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო. ბოლო ერთი თვის განმავლობაში აქ ერთ-ერთი კაბინეტი სამკერვალო ოთახად იქცა, დამლაგებელი, მასწავლებელი, ყველა, ვისაც ჭრა-კერვის ნიჭი აღმოაჩნდა, კოსტიუმებს კერავდა, სამოსი შეკერეს ცნობილმა დიზაინერებმაც, ბავშვებმა თავადვე დაამზადეს ვიდეორგოლები, ერთობლივად გააფორმეს სცენა, რეპეტიცია რეპეტიციაზე ეწყობოდა, რაც მთავარია, არა გაკვეთილების ხარჯზე და... შედეგიც სახეზეა... სკოლის ლიტერატურულმა კლუბმა, რომლის ხელმძღვანელიც სკოლის ენერგიული დირექტორია, წარმოადგინა სპექტაკლი "კონკია". მასში თითქმის ყველა კლასის მოსწავლეები დაკავდნენ. შარლ პეროს ცნობილი ზღაპრის სიუჟეტს ქართული რეალობის შემცველი ელემენტებიც შეემატა.***









განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ასეთი მასშტაბის და გემოვნების წარმოდგენას სოფლის სკოლა გვთავაზობს. სკოლა, რომლის მთელი კონტინგენტი მხოლოდ 85 ბავშვია. დირექტორს, რომელმაც უდიდესი შრომა გასწია, არც როლების სწორად განაწილების ალღომ უღალატა. ზედმიწევნით კარგად გაართვა როლს თავი ყველა მოსწავლემ. მეოთხეკლასელმა გიორგი სანიკიძემ მთხრობელის მისია შესანიშნავად შეითავსა. პრინცის სახე შთამბეჭდავად შექმნა ათოსანმა მოსწავლემ გიორგი მიქელაძემ, კონკია კი ნატალი ხარებავა გახლდათ. ათოსანია მეფის როლის შემსრულებელი გიორგი სირია. ბოროტი და ხარბი დედინაცვლის როლში ბრწყინვალე იყო სალომე ბოხუა, დედინაცვლის შვილები კი მარიტა ჩუბინიძემ და მარიამ ახობაძემ განასახიერეს, პატარა ელა _ ნინი ბუაძემ, ელას მამა _ გიორგი ანდღულაძემ, ელას დედა და ამავე დროს დედოფალი _ მარიამ შენგელიამ. ვეზირის როლში ვახო ხარებავა, მცველის როლში ნიკა ჭახნაკია, ხოლო, მხატვრის როლში საბა იობაძე გახლდათ. კონკიას მანუგეშებელნი, სხვენის ბინადარი თაგვები _ ლუკა ხარებავა და ბარბარე ბალიაშვილი არიან, პეპელა კი ელენე დგებუაძეა. ქორეოგრაფი არ მოუწვევიათ, მაგრამ მოსწავლეებმა შესანიშნავად შეასრულეს ვალსი. წარმოდგენის ბოლოს პატარა მსახიობებმა მადლობა გადაუხადეს დირექტორის მეუღლეს, რადგან რომ არა მისი დახმარება, მსახიობებს შესანიშნავი კოსტიუმები არ ექნებოდათ. ამ ბავშვებისათვის ეს დებიუტი იყო, მათ სპექტაკლს ჯერ ფართო პუბლიკა არ ჰყოლია. ვინაიდან სკოლის დარბაზმა ბევრი მაყურებელი ვერ დაიტია, პირველ რიგში, სპექტაკლის შემფასებელნი იყვნენ: მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, კულტურის სამსახურის უფროსი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტები, გამგებლის წარმომადგენელი ნაბაკევის თემში და საკრებულოს მაჟორიტარი ნაბაკევის თემიდან.





ლამაზი წარმოდგენის დასრულებისთანავე პუბლიკა ფეხზე ადგა და აპლოდისმენტები არ დაიშურა ნორჩი მსახიობებისათვის. მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია: "უდიდესი მადლობა ბავშვებო, ეს ჩვენი ბავშვობის ზღაპარია, ჩვენ ამაზე გავიზარდეთ, ყოჩაღ, რომ ასე კარგად გააცოცხლეთ გმირები, ასეთი შესანიშნავი დეკორაციებია, არაჩვეულებრივი კოსტიუმები, მადლობა სკოლის დირექტორს ამ დიდი ძალისხმევისათვის".

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი ალექსანდრე თევზაძე: "მართლაც საუკეთესოდ არის მობილიზებული ყველა რესურსი, ასე აქტიურად რომ ჩაერთო ამ საქმეში ყველა პედაგოგი და მშობელი, ვუსურვებ წარმატებებს ამ ნიჭიერ ბავშვებს და ვისურვებდი, სკოლის სივრცეს გასცდეს, მუნიციპალიტეტის დონეზე იქნას ნაჩვენები ეს შესანიშნავი სპექტაკლი".

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თვმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია: "უდიდესი მადლობა ყველას ამ საინტერესო და ლამაზი დღისათვის, სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე, ეს თემა უკვდავია, დღეს ჩვენმა მასპინძელმა სკოლამ მართლაც საუკეთესო წარმოდგენა შემოგვთავაზა. მადლობა ყველას".

მერის წარმომადგენელი ნაბაკევის თემში ოთარ წულეისკირი: " აღფრთოვანებული და ამაყი ვარ, რომ ჩემმა მშობლიურმა სკოლამ ასეთი შესანიშნავი სპექტაკლი წარმოგვიდგინა, განსაკუთრებულად იცით რა მახარებს? თუ წინათ ძალიან დიდი სხვაობა იყო სოფლისა და ქალაქის სკოლებს შორის, უკვე ეს სხვაობა წაიშალა, სოფლის სკოლა არაფრით განსხვავდება ქალაქის სკოლისაგან, თქვენ დღეს დარწმუნდით, თუ რაოდენ დიდია ჩვენი ბავშვების ინტელექტუალური პოტენციალი".

ნატალია მანჯგალაძე, მერიის განათლების და კულტურის სამსახურის უფროსი: "მადლობა ბავშვებო უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რომ რამდენიმე წუთით ჩვენს ბავშვობაში დაგვაბრუნეთ, უბედნიერესი ვარ, ულამაზესი წარმოდგენა გვაჩუქეთ, თქვენი სახით საქართველოს საამაყო გოგონები და ბიჭები ეზრდება, არ გაგნელებოდეთ ეს ჟინი, ნიჭი და შემართება".

ვაჟა სტურუა, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ნაბაკევის თემიდან: " მართლაც ძალიან კარგი სპექტაკლი იყო, ამაყი ვარ და ბედნიერი, რომ სკოლას ასეთი შესანიშნავი მოსწავლეები ჰყავს".

ქალბატონმა სვეტლანამ "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში აღნიშნა: "განათლების და მეცნიერების მინისტრმა ახალი სამოქმედო გეგმის წარდგენისას ბრძანა: სოფლის სკოლები უნდა გადაიქცნენ კულტურის ცენტრებად, სადაც იქნება ბიბლიოთეკა, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები, ჩვენი ლიტერატურული კლუბი ძალიან აქტიურად საქმიანობს, ვმართავთ პოეზიის საღამოებს, იმართება დისკუსიები აქტუალურ თემებზე, დავდგით რამდენიმე სპექტაკლი, ვაპირებთ ამ ზაფხულს საზაფხულო სკოლა გავხსნათ, მოვაწყობთ ფილმების ჩვენებას და სპორტული აქტივობები იქნება ბავშვებისათვის. ჩემი მარჯვენა ხელია სპორტის პედაგოგი ლაშა ჩიჩუა, რომელსაც შეუძლია ენთუზიაზმზე იმუშაოს და სკოლისთვის ბევრი სასიკეთო

რამ გააკეთოს".

ვინაიდან სპექტაკლს საყოველთაო მოწონება ხვდა წილად, იგი უახლოეს ხანში სხვა, უფრო დიდ სცენაზეც დაიდგმება.

# „ასე ლამაზად რომ აგაყვავა ალმის ყვავილო...”

ნათია ნაცვლიშვილი

მეოთხე ბაგა-ბაღში კიდევ ერთი პროექტი განხორციელდა. ბაღის მმართველმა, იდეების გენერატორმა და ენერგიულმა ქალბატონმა, ნანა დუნდუამ გვითხრა, რომ თეონა ჭანტურიას ლექსების მოკრძალებულ პრეზენტაციაზე გვეპატიჟებოდა. თეონა ჭანტურია ამ ბაგა-ბაღში აღმზრდელის თანაშემწეა. ის იმ დღეს იუბილარიც იყო. მეგობრებმა, ბაგა-ბაღის აღმზრდელებმა მას საღამო გაულამაზეს: ყველა მათგანმა წაიკითხა ქართულ სიტყვასთან შეჭიდებული ქალბატონის ლექსები. სიყვარული, მეგობრობა, თანამედროვე ადამიანის ყოფა _ ამ თემებს ეხება თეონა ჭანტურიას ლექსები. საკუთარი ლექსები მრავლად წაიკითხა ავტორმაც. ბაგა-ბაღის მეთოდისტი მარინა ბაღდავაძე მიესალმა საღამოს მთავარ ფიგურანტს და განაცხადა: “მსურს, თეონა წარმოგიდგინოთ პროფესიონალური კუთხით, როგორც მოწესრიგებული ქალბატონი, ქალი დედაა უპირველესად და დედობა უფლის ნაბოძები ჯილდოა. ის შესანიშნავი დედაა, ამასთანავე, მინდა აღვნიშნო, რომ 2-3 წლიანთა ჯგუფში ჰარმონიულად აქვთ განაწილებული აქტივობები აღმზრდელს და თანაშემწეს. თეონა, ბავშვებთან ერთად შესრულებული შენი მხიარული სიმღერებიც მომისმენია, გიყვარდეს და უყვარდე ბავშვებს, მშობლებს, კოლეგებს, ესაა სრულყოფილება.”

ლექსებს მუსიკალური ნომრებიც ენაცვლებოდა, ნანა დუნდუა, როგორც ყოველთვის, ახლაც ძალიან აქტიურობდა, თეონას ლექსებიც მრავლად წაიკითხა, იუბილარ ქალბატონს შემოქმედებითი წარმატებები უსურვა და გზა დაულოცა.

ბაგა-ბაღის მეთოდისტი, მარინა ქოჩოვი: “თეონა, წრფელი გულით და დიდი სიყვარულით მოგესალმებით, მადლობა







იმისათვის, რომ ჩვენს ბაგა-ბაღს მიეცით საშუალება, კიდევ ერთი პროექტი გაგვეხორციელებინა, მინდა არ დამთავრდეს ეს საღამო, იმდენად ლამაზად კითხულობთ ქალბატონებო. ამ პროექტის მიზანია, ჩვენი ნიჭიერი და განათლებული გოგო წარმოვაჩინოთ. თეონა, მინდა შენს გულში სულ მზემ ანათოს, შენთვის ეს დღე ერთ-ერთი ტკბილად მოსაგონარი დღე იქნება, ეს შენი პირველი ნაბიჯები წარმატებული ყოფილიყოს.” ქალბატონმა მარინამ ბავშვებისადმი მიძღვნილი თეონას ლექსიც წაიკითხა. თეონას სიხარული შვილმა, ნიკა ქოიავამაც გაიზიარა და მას წითელი ვარდების თაიგული უძღვნა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსის მოადგილე მარინა შენგელია: “ვიცოდი, ასეთი შესანიშნავი კოლექტივი რომ იყო ამ ბაგა-ბაღში, მაგრამ დღეს წაკითხული ლექსები ძალიან მომეწონა. მოხარული ვარ, რომ ასეთი ბედნიერება მიანიჭე არამარტო შენს ახლობლებს, არამედ, ჩვენც. შენი შემოქმედება უნდა იზრდებოდეს...” შემდეგ ის ფორტეპიანოს მიუჯდა და იუბილარ ქალბატონს პატივისცემის ნიშნად სიმღერა უძღვნა. იუბილარს მიესალმა ასევე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენელი ლელა ხუჭუა. “სასწაული მოვლენაა ნანა დუნდუა და მისი კოლექტივი.”_ განაცხადა მან. მადლობა ყველას, ყველას ქედს გიხრით! _ მიმართა ქალბატონმა თეონამ ყველა მოწვეულ სტუმარს.

# ისტორია მუდამ ეძებს სიმართლეს

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირმა მთელ მსოფლიოში თავისი დემოკრატიული მოკავშირეების ძალისხმევითაც დაამარცხა უდიდესი მონსტრი XX საუკუნის მსოფლიო ისტორიაში, ჰიტლერიზმი და ფაშიზმი, იმ მოვლენების ფონზე, რაც მაშინ ადრეულ წლებში საბჭოთა კავშირს თავს დაატყდა, დასავლელი “სოვეტოლოგები” წინასწარმეტყველებდნენ, რომ ახალგაზრდა საბჭოეთი დაიღალა და წელში გაწყვეტილია შიდა სამოქალაქო ომებითა და დაპირისპირებებით, მათ შორის ანტისტალინური შიდა პარტიულ დაჯგუფებათა წინააღმდეგობრივი მოძრაობის სირთულეებით. ამ ფონზე საბჭოეთი განწირულია დიდ ომში დამარცხებისათვის, მაგრამ მათმა პროგნოზმა სრული ფიასკო განიცადა, საბჭოთა ხალხმა, სწორედაც ამ რთული ხასიათის ბელადის ერთპიროვნული და უკომპრომისო პრინციპულობის წყალობით, საბოლოო გამარჯვებას 1945 წლის 9 მაისს ფაშისტური სახელმწიფოს სრულ კაპიტულაციას მიაღწია და როდესაც “მგლის ბუნაგზე”, რაიხსტაგზე 1945 წლის 30 აპრილს წითელი დროშა აიტანა ქართველმა მელიტონ ვასილის ძე ქანთარიამ და რუსმა მიხეილ ალექსანდრეს ძე ეგოროვმა. ესეც სიმბოლურიაო, განაცხადა ნიკიტა ხრუშჩოვმა მოგვიანებით, რომ ამ საქმეშიც ქართველი გაერიაო, ესეც სტალინის ნება იყოო, ჩურჩულებდნენ ე. წ. ხრუშჩოვის ბანაკში. ბელადის გაუტეხელი ნებისა და წინასწარგანჭვრეტის უნარის მიუხედავად, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა მხრიდან მსხვერპლი უდიდესი იყო, 22 მლნ. ადამიანი, მწყობრიდან გამოსული დიდძალი სამხედრო ტექნიკა, დანგრეული და გაპარტახებული მეურნეობა, ეკონომიკა, რომლის აღდგენასაც ომის შემდგომ წლებში მუხლჩაუხრელი ბრძოლა და შრომა დასჭირდა.

“ერთპიროვნულმა” და პარტიულმა მმართველობამ, ბელადის პრინციპულობის უპირატესობა საოცრად აშკარად დაანახა სკეპტიკოსებს საბჭოთა კავშირის ისტორიულ მტრებს. საწინააღმდეგოს ამტკიცებს ნიკიტა ხრუშჩოვი, რომ სწორედ სტალინის ამ პრინციპულმა სიჯიუტემ გააგრძელა ომი და მოხდა დიდძალი ძალების დანაკარგი პარტიის ხმას, ცეკას გადაწყვეტილებებს სტალინი ყურს არ უგდებდა და ისე მოქმედებდა, როგორც მას მიაჩნდა საჭიროდ.

სრულიად უცხოს და დაუჯერებელს ქადაგებდა მტრის ბანაკებში ე. წ. ჰიტლერული და გებელსური პროპაგანდა: ამტკიცებდა, რომ საბჭოთა დესპოტიზმისა და ერთპარტიული სისტემის უვარგისობის გამო, მალევე, პირველსავე წინააღმდეგობის დროს დაიშლება საბჭოთა ძმური, სხვადასხვა ნაციონალური ერთობა და ჰიტლერელები საოცარ გამარჯვებას მიაღწევენო. ამგვარ ცრუ პროპაგანდაში აცხოვრებდა საკუთარ ე. წ. უმაღლეს რასას, მთელ გერმანიას და მის მოკავშირეებს ადოლფ ჰიტლერი. ისტორიამ სულ სხვა სურათი დახატა. 1942 წლის აპრილში საბჭოთა ძალებმა უკუაგდო მტერი მოსკოვიდან 100-350 კილომეტრით. ამ გამარჯვებით, ე. წ. ომის ელვისებურმა გეგმამ, კრახი განიცადა.

ჰიტლერული გეგმები უფრო მეტად ფართე იყო, სურდა დაებრუნებინა ტერიტორიები, რომელიც გერმანიას ჩამოართვეს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც დამარცხებულ სახელმწიფოს.

1933 წლიდან, ადოლფ ჰიტლერის ძალაუფლებაში მოსვლის დღიდან, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ძალიან ბევრს უთმობდნენ ამ საშიშ ავტოკრატს. უმართებულო იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ თითქოს დასავლეთის პოლიტიკური მოღვაწენი არ იყვნენ ამის შესახებ ინფორმირებულნი. პირიქით, უკვე 1937-1938 წლებში ღიად საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ჰიტლერს და მის დაჯგუფებას ბევრად მეტი უნდოდათ, შეჭრილიყვნენ და დაეპყროთ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები. მისადმი ინგლისი და საფრანგეთი შემწყნარებლობას იჩენდნენ. უფრო მეტიც, ამის შესახებ მინიშნებებსაც კი აძლევდნენ ჰიტლერს. მათ აზრადაც არ მოსდიოდათ, თუ რა დიდი მადა გაეხსნა “მესამე რაიხს” ამასობაში, ამ თავაზიანი შეპატიჟებების კვალდაკვალ.

1937 წელს ლორდმა ჰალიფაქსმა, რომელიც ითვლებოდა ინგლისის პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილედ, ჰიტლერს სტუმრობის დროს პირად საუბარში აღუთქვა, რომ ინგლისი არ შეუშლიდა ხელს გერმანიას, შეჭრილიყო და რაც შეიძლება, მეტი სახელმწიფო დაეპყრო აღმოსავლეთ ევროპაში.

1938 წლის თებერვალში საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი, ჩემბერლენთან ხშირი შეკამათების გამო, იძულებული გახდა გადამდგარიყო მინისტრობიდან. მან ამის გამო შესჩივლა კიდეც ჩემბერლენს, თუ რა ეკეთებინა მომავალში. მან კი დაცინვით უთხრა: “წასულიყო სახლში და მიეღო ასპირინი”. მისი ადგილი დაიკავა ჰიტლერისადმი ლოიალურად განწყობილმა ლორდმა ჰალიფაქსმა. მოგვიანებით, კონფიდენციალური საუბრისათვის ჰიტლერს ეწვია ინგლისის ელჩი ბერლინში ჰენდერსონი. ფაქტობრივად, ჰენდერსონი გამოდგა, როგორც გამგრძელებელი ნოემბრის მოლაპარაკებებისა ფიურერთან. მან აცნობა ჰიტლერს, რომ ინგლისის მთავრობა ფრიად მოხარული იქნებოდა მისი შეჭრით ევროპაში გერმანიის სასიკეთოდ და რომ ახლანდელი ინგლისის მთავრობას აქვს “გამახვილებული გრძნობა სინამდვილისა”. როგორც დოკუმენტებშია ხაზგასმული, ამ მოვლენებმა ხელი შეუწყო ჰიტლერს, დაეჩქარებინა სამხედრო მოქმედებები.

ამერიკის ელჩი, ცნობილი ჯონ ბულიტი პარიზში, პოლონეთის ელჩთან ვაშინგტონში დაუჯერებელ მოსაზრებებს გამოთქვამს: “დემოკრატიული დასავლეთის ქვეყნების სურვილს სრულიად შეესატყვისება გერმანიის რეიხის სამხედრო შეტაკება საბჭოთა რუსეთთან!”. თავიანთი დუმილით ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი შეუწყვეს, გერმანია შეჭრილიყო ავსტრიაში და შემოეერთებინა იგი მესამე რაიხისთვის. ამ იოლი მანევრის ერთადერთ გართულებას ჰქმნიდა ის გარემოება, რომ ვენის გზაზე ხანგრძლივი მსვლელობისას მწყობრიდან გამოვიდა დიდი რაოდენობით რეიხის ტანკები. ბოლოს კიდევ უფრო დიდი თვითკმაყოფილება მიიღო ჰიტლერმა, გაიგო რა, რომ ჩემბერლენმა და ჰალიფაქსმა გადადეს, უფრო სწორად კი აიცილეს, რუსეთის წინადადება, მოეწვიათ კონფერენცია, შეექმნათ კოლექტიური ერთიანი გეგმა გარანტირებით გერმანიის აგრესიისგან დასაცავად.

1938 წელს სექტემბერში ჩეხოსლავაკიის მუქარა გახდა აშკარა, რუსეთის მთავრობამ მაშინ საჯაროდ განაცხადა, როგორც სჩვეოდა, მზად იყო თანამშრომლობისათვის ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან, რათა მათ მიეღოთ ზომები ჩეხოსლოვაკიის გერმანული აგრესიისაგან დასაცავად. მაგრამ ეს შემოთავაზებაც იქნა იგნორირებული, მით უფრო, რუსეთს არ მისცეს უფლება, მიეღო მონაწილეობა მიუნხენის თათბირში, სადაც გადაწყდა ჩეხოსლავაკიის ბედი. ცუდ როლს თამაშობდა დასავლეთის ეს თავშეკავება, რამაც გამოიწვია ფატალური შედეგები. დასავლეთის ამგვარი ქმედებებით ჩქარდებოდა მოახლოება დიდი სამამულო ომისა, თუმცა მას ჯერ კიდევ მრავალი საერთაშორისო სამხედრო თუ სამოქალაქო მოვლენა უსწრებდა წინ. მას შემდეგ, რაც ინგლისის მთავრობამ თავისი დუმილით თანხმობა გამოხატა გერმანელების წინსვლაზე აღმოსავლეთისაკენ, ჰიტლერი უსიამოვნო გრძნობებს შეეპყრო, გაოცდა კიდეც და ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადებით ინგლისში, როცა სექტემბერში ჰიტლერმა ულტიმატუმი წაუყენა ჩეხოსლოვაკიას, ჩემბერლენმა დათმო პოზიციები და წააქეზა ჰიტლერი ჩეხოსლოვაკიისათვის თავს მოეხვია თავისი პირობები. ამით იგი არანაკლებ გაახარა საფრანგეთის პასიურობამ, ის ომში არ ჩაერთო, ჰიტლერმა თავისი გეგმები ჩეხოსლოვაკიის მიმართ სისრულეში მოიყვანა, საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე ფაშისტებმა დაიპყრეს პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, დანია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ავსტრია, ნიდერლანდები, ბელგია, ნორვეგია, იტალია, საფრანგეთი, იუგოსლავია, ლუქსემბურგი, ფინეთი. ევროპის პოლიტიკური ლიდერები უკვე იმედის თვალით შეჰყურებდნენ ერთადერთ მხსნელს კაცობრიობისთვის საბჭოთა კავშირს დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის მეთაურობით, რომლის ძლიერებასაც ჰიტლერი ჯეროვნად ვერ აფასებდა.

ჰიტლერი იმედოვნებდა, რომ სამომავლოდ პოლონეთი გახდებოდა ერთ-ერთი მისი მოკავშირე. 25 მარტს მან სახმელეთო ჯარების სარდალთან საუბარში განაცხადა, რომ არ უნდა გადაწყვიტოს დანციგის საკითხი ძალის გამოყენებით, ოღონდაც, ინგლისის და საფრანგეთის მოულოდნელმა მანევრმა, რომელიც მოჰყვა ჰიტლერის ამ ახალ ნაბიჯს, შეცვალა მთელი მისი გეგმები პოლონეთთან დამოკიდებულებაში.

გერმანია გამალებით ემზადებოდა ახალი ომებისათვის. ჩეხოსლოვაკიის განხეთქილების მიზნით, ნაცისტებმა წააქეზეს მისი სეპარატისტული მოქმედებები. 12 მარტს სლოვაკეთის ფაშისტების ლიდერი ტისო ბერლინს ეწვია, სლოვაკიამ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობის შესახებ. უფრო ბრმად იმოქმედა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პოლკოვნიკმა ბეკმა, რომელმაც საჯაროდ განაცხადა თავისი მხარდაჭერა სლოვაკებისადმი. 15 მარტს, იმის შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა დაუთმო ჰიტლერს და აღუდგინა “პროტექტორატი” ბოჰემიაზე და მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია, გერმანული ჯარები შევიდნენ პრაღაში.

1938 წელს, როცა ხელი მოეწერა მიუნხენის ხელშეკრულებას, ინგლისის მთავრობა ვალდებულებას იღებდა, დაეცვა ჩეხოსლოვაკია აგრესიისაგან, ოღონდაც, მარტის მოვლენების შემდეგ, 1939 წელს ჩემბერლენმა განაცხადა საზოგადოების წინაშე, რომ, მისი აზრით, ჩეხოსლოვაკიის დაცემამ გაანულა ეს გარანტიები და იგი არ თვლის თავს ამ ვალდებულებებთან რაიმე კავშირში. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემბერლენმა სრულიად შეცვალა თავისი კურსი. ეს იყო იმდენად მოულოდნელი, ერთადერთი შესაძლებლობა, ომი აეცილებინა თავიდან. ის მდგომარეობდა იმაში, რომ იმედი ჰქონდა რუსეთის დახმარებისა, ერთადერთი სახელმწიფოსი, რომელსაც შეეძლო პოლონეთისათვის მხარი დაეჭირა და ამ გზით შეეჩერებინა ჰიტლერი. მიუხედავად თავისი კრიტიკული მდგომარეობისა, ინგლისის სახელმწიფოს მოქმედება იყო ძალიან ინერტული და უგულისყურო. ისინი ვერ აფასებდნენ სათანადოდ რუსეთის ძალას. ხოლო პოლონეთის შესაძლებლობებს ძალიან აზვიადებდნენ. რუსეთი მათ სჭირდებოდათ მხოლოდ თავიანთი გარანტიებისათვის, ხოლო პოლონეთი ჩააყენეს ისეთ მდგომარეობაში, თავად უნდა მიეღწია შეთანხმებისთვის რუსეთთან მისივე პირობებით. ეშინოდათ, პოლონეთის თავდაცვა მსოფლიოს, კერძოდ ჰიტლერს, არ აღექვა, როგორც შეჭრა რუსეთისა და ამიტომ მოვლენებს თავდაცვისათვის საეჭვოდ უყურებდნენ, ანელებდნენ თავდაცვის პროცესებს როგორც სამგლოვიარო პროცესიის სვლას. სრულიად სხვაგვარად რეაგირებდა ინგლისის შეცვლილ პოზიციებზე ჰიტლერი. სასინჯი ნაბიჯები საბჭოთა-გერმანული კავშირის ხელშეკრულებისა აპრილში გადაიდგა. ორივე მხარე ფრთხილობდა, იყო ატმოსფერო ორმხრივი უნდობლობისა. ინგლისის მხარე ცდილობდა, შენელებულიყო პროცესები რაც ხელს აძლევდა გერმანიას, გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა, რომ მიეღწიათ შეთანხმებისათვის რუსულ მხარესთან. აგვისტოს შუა რიცხვებამდე მოლოტოვი არ იძლეოდა არავითარ დაპირებებს, შემდეგ კი ამას მოსდევდა გადამწყვეტი ცვლილებები რასაც იმდენი მოვლენა მოჰყვა შედეგად, რომ გააოცა მთელი მსოფლიო. ჩემბერლენმა უცებ მიიღო გადაწყვეტილება, დაებლოკა ნებისმიერი შემდეგი მოქმედებები, 29 მარტს მან გაგზავნა წინადადება პოლონეთში, რომ დაეცვა იგი ყოველგვარი აქციებისაგან, რომელიც ემუქრებოდა პოლონეთის დამოუკიდებლობას. სიტუაცია იმდენად დაიძაბა დასავლეთში, რომ ომის გარდუვალობა მოახლოებული იყო. ინგლისი პოლონეთს ვერ დაეხმარა, წამოაყენა ყოვლად აბსურდული მოთხოვნა რუსეთის მხარდაჭერის აუცილებლობის, თუკი იგი ამისთვის იყო მზად და პოლონეთიც ამოქმედდებოდა. პარლამენტმა განიხილა ეს საქმე, ლოიდ ჯორჯმა მას ყოვლად აბსურდული უწოდა; ინგლისმა არ აიღო თავისთავზე პოლონეთს დახმარებოდა. თუ საქმე რუსეთის დახმარებაზე მიდგებოდა, რაც საეჭვო იყო, ამას შეეცვალა მდგომარეობა. თვითმკვლელობის ტოლფასად გამოაცხადა ლოიდ ჯორჯმა ინგლისელთა წინადადება, თუ პოლონეთის გარანტიას მისცემდნენ, ამით ომი კიდევ უფრო დაჩქარდებოდა. ამიტომ პოლონეთის მთავრობა წავიდა დათმობაზე, რაიმე მაინც დაეთმო ჰიტლერისთვის, ეს კი პოლონური მსხვერპლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

23 აგვისტოს ფ. რიბენტროპი გაფრინდა მოსკოვში და პაქტი იქნა მოწერილი თავდაუსხმელობაზე. ოღონდაც, საბჭოთა კავშირის გერმანულმა პაქტმა არ მოახდინა ინგლისელებზე ის შთაბეჭდილება, რასაც ჰიტლერი ანგარიშობდა. თვლიდა, რომ სტალინს მშვენივრად ესმოდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დიდი ხანია, გადახრილი იყვნენ იმისკენ, რომ ჰიტლერს ხელფეხი გახსნოდა, შეჭრილიყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში. შეიძლება, სტალინი ფიქრობდა, რომ საბჭოთა-გერმანული პაქტი ხელსაყრელი საშუალებაა, იმისთვის რომ მისი დახმარებით ჰიტლერს აგრესიული ქმედებები შემოებრუნე-

### მიძღვნილი იოანე ნათლისმცემლისადმი

ღრმა ფიქრებში დაბადებას ვგულისხმობ,
მაშინ, როცა ფიქრი მომეძალება,
გაგონილა ბრძოლის ველი უსისხლოდ,
ან სიამის ხელში გარდაცვალება!
ღრმა ფიქრებში შესატყვისად გამხილდა,
ცისკრის მზე რომ მოეფინა სამანებს,
როს აისის სადიდებლად თავს ხრიდა,
მოკვეთეს, თუმც ვეღარ დაასამარეს,
ღრმა ფიქრებში რჩება გული უსიტყვოდ,
მას ღიმილი მოეფინა სახეზე...
და როს მისი განდიდებით გულს ვითბობთ,
ვდგავართ მუდამ ცისკრის გადასახედზე.

### წუთისოფელი

წუთისოფელი! თითქოს დავგმეთ ჩვენ ეს ცდუნება,
და ხალისადაც დავამკვიდრეთ აზრი ცხოველი,
რომ მის წიაღში სული აღარ დაითრგუნება,
რომ განთიადი იზეიმებს მანათობელი.
წუთისოფელი! რომ გვიყვარდეს მხოლოდ და მხოლოდ,
რომ სიყვარულში გამოვლინდეს სულის ღირსება,
რომ გაზაფხულის ხმა დიადი აღარ ჩავქოლოთ,
მით გარიჟრაჟის აალება არ ინისლება.
წუთისოფელი! და შევფიცეთ მანათობელი,
და აღტაცებაც გამოვხატეთ იმავდროულად,
რომ განგვეცადა ტკივილების ხმა ულმობელი,
გამოწვეული ჩვენს ფიქრთაგან ანაზდეულად.

### საიდუმლო სერობა

თორმეტ მოციქულს გუშინ მშვიდად ფეხი დაბანა,
ერთი თქვენგანი კი გამცემსო, დღეს ეუბნება,
მოციქულთათვის ძნელი არის ეჭვის ატანა,
ჭეშმარიტების მაძიებლთ ცა ემუქრება.
ჩვენსავ ფიქრებში ჩაძირულა ჩვენი ოცნება,
აჰ! ჩვენს წინაშე სახიფათო რაა წარსული?
შენს კვალსა მოვდევთ, მაცხოვარო, მით ილოცება
ჩვენი ფიქრების ნატერფალი, არა მაცდური,
გვითხარი რამე, შენი სიტყვა ჩვენი მხსნელია,
ნუთუ არ ძალგვიძს, უბედურებს უკან დახევა,
შენი სიტყვები ყოველივეს გარდამქმნელია
რომ ვპოვოთ სულში სანუგეშო გამოძახება.
პასუხს აყოვნებს, მდუმარებას არჩევს თითქოსდა,
თითქოს დამძიმდა სიტყვა ძალზედ გულისაკლავი,
პასუხად შიშით მღელვარებას მათგან ითხოვდა,
მაცდურ ხასიათს გამოუჩნდა სახე გამცბარი.
გარდუვალია! თავს გვახსენებს მოსალოდნელი,
რაც ოდითგანვე დაწერილა ცნობისწადილად,
გულს ვერ იმშვიდებს, ინუგეშებს, ღმერთის მგმობელი
არ იხსენება მოამაგედ, ბორკილახსნილად.
ქრისტეს თვალებმა გაამხილეს ძნელად სათქმელი,
მოციქულებმა ვერ მოიხსნეს განცდის მანტია,
გაფიქრებასაც ვერ ბედავენ სხვა შემართებით,
აზრი, გონება შიშის განცდას გაუფანტია,
და ის პირველი ამოუწებს ჩემს ჯამში ახლა,
შენც, ჩემო პეტრე, შენს საქციელს დაემდურები,
მზე გვევლინება და იქნება ყოველთვის მაღლა,
დაბლა კი ხშირად შეგაშფოთებთ თქვენი გულები.

**დავით ჩირგაძე**

## გმირები მუდამ ცოცხლობენ

*ეძღვნება არჩილ ტატუნაშვილს*

კონფლიქტი მტრებთან, წლებია,
არც ცხელია და არც ცივი,
შენთან ბრძოლაში დამარცხდა
ორთავიანი არწივი.
სამშობლოსათვის სიკვდილი
ყოველთვის იყო პატივი,
საჭიროება რომ დადგა,
ეს შენთვის იყო მარტივი.
გითხრეს, რომ ნახე, შეხედე,
მინდორია და მდელოო,
ოსეთი უნდა სთქვა
და არა საქართველოო.
დაგიფინეს და გიბრძანეს:
მიდი, ეგ დროშა თელეო!
გადაიფარე გულზე და
უთხარი, გადამთელეო.
ილიას მსგავსად არ დათმე
ენა, რწმენა და მამული,
ყველამ ჩვენს გულში ვეძიოთ
გმირობა გადამალული.
მტერის გზავნილი ის არის,
ეს კარგად უნდა გვესმოდეს,
ყველას მოგვარტყეს ეგ ტყვია,
ლაჩრულად შენ რომ გესროლეს.

**თემურ გერაძე**
**სამტრედიის მე-2 საჯარო სკოლის IXა კლასის მოსწავლე**

### ელენე ცერცვაძე



შეაჟრჟოლა გაზაფხულს, ელენე გარდაიცვალაო, ერთი კვირტი მოსწყდა სიცოცხლის ხეს. ჩაქრა მოკიაფე იმედი – ვერ გაუძელი, ვერ გადაიტანე.

ჩვენო პატარა გოგოვ, მოგვენატრება შენი სითბოთი სავსე ღიმილი. შენი ხიბლი დააკლდება ჩვენს ქუჩას. ტკივილით სავსე მოგონებად დარჩები.

უფალი ფარავდეს შენს ლამაზ სულს!

**დაბა კულაშში, რესპუბლიკის ქუჩაზე მცხოვრები მეზობლები**

ბინა პირუკუ მიმართულებით. სხვა სიტყვებით, სტალინი შუბლით ახეთქებდა ერთმანეთს თავის არა უშუალო და პოტენციურ მოწინააღმდეგეთ. ეს კი ნიშნავდა მოდუნებას, შესუსტებას მუქარისას საბჭოთა რუსეთზე. რაც განაპირობებდა რუსეთის დომინირებად როლს ომის შემდგომ მსოფლიოზე.

1941 წელს, იმის შემდეგ, რაც ჰიტლერი შეიჭრა რუსეთში, ნაბიჯი, რომელიც მიღებული იქნა ი. ბ. სტალინის მიერ, 1939 წელს გამოიყურებოდა ფატალურად. შეიძლება, სტალინი აჭარბებდა დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგობის გაწევის უნარის შესაძლებლობებს.

საბჭოთა ხალხი დიდხანს ამტკიცებდა, სამამულო ომი ‘‘კატუშამ’’ მოიგო, ხოლო რევოლუცია ‘‘მაქსიმმაო’’, მაგრამ პეპეშაც გარკვეულ როლს თამაშობდა მათ ამ დაჟინებულ კვეხნაში. გერმანიის მხარე, კერძოდ ჰიტლერი, ომის წაგებას უკავშირებდა საკუთარი თავის სისუსტეებს, დისციპლინის შესუსტებას ჯარში და რაიხში. მე რომ სტალინივით მოვქცეულიყავი, როგორც ის მოიქცა, 1937 წელს გაწმინდა გენშტაბი მოღალატეებისგან, გაატარა დიდი, სასტიკი რეპრესიები, მეც ჩემეული გერმანული რეპრესიები რომ გამეტარებინა, ომის წაგების ნაკლები შანსი მომეცემოდაო. ზოგი ომის მოგებას სტალინის გაუტეხელ ნებას მიაწერდა, მის სტრატეგიულ ნიჭსაც. გასათვალისწინებელია აგრეთვე თავდასხმითი და თავდაცვითი ომის პრინციპები და საბჭოთა ხალხის ‘‘გეროიზმი’’ და დიდი თავგანწირვა ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში, რამაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია სსრკ-ში საბოლოოდ: 22 მლნ. ადამიანის სიცოცხლე, აურაცხელი დამსხვრეული საბრძოლო ტექნიკა. პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა 14 ქვეყანა, მეორე მსოფლიო ომში კი 61 სახელმწიფო, ცნობილია, რომ ამ ომში ყველაზე დიდი მსხვერპლი საქართველომ გაიღო, როგორც ბელადის სამშობლოში, რამაც საბოლოოდ დაარღვია ქართული ოჯახების დემოგრაფიის ბალანსი, გაწვეული იქნა 700 000 ათასამდე მებრძოლი, დაიღუპა 300 000-ზე მეტი. ჩვენი რაიონიდან საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიიღო ვ. ჩიქოვანმა, ა. გეგეშიძემ, გ. შენგელიამ. ნ. კალაძემ, აკ. ტერელაძემ. ისინი დაეცნენ, რათა ეცოცხლა კაცობრიობას, 9 მაისს ვულოცავთ ყველა ვეტერანს!

**მოამზადა**
**მერაბ ჩხაიძე**



მეუღლე ლია წიქვაძე, შვილები თამარი და კახა, და გულნაზი, რძლები ქეთევანი, ნატაშა, სიძეები დავით ბიჭაშვილი, თემურ მუმლაძე, ჯონი სამხარაძე, გოგა ქოჩიაშვილი, იონა შერაზადაშვილი, ცოლისძმა ელგუჯა, დისშვილები ნათია, სოფო, მარიამი, ცოლისძმიშვილი მაქსიმე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**როლანდ კარლოს ძე ნიკოლეიშვილი**

პანაშვიდი ყოველდღე, დაკრძალვა ხუთშაბათს, 24 მაისს, 15 საათზე სოფელი ჭოგნარი.

---

რუსიკო და დიანა ნიკოლეიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**როლანდ კარლოს ძე ნიკოლეიშვილი**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მიშიკო ნიკოლეიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს კახა ნიკოლეიშვილის ოჯახს
**როლანდ ნიკოლეიშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

სოფელ ჭოგნარის უახლოესი მეზობლები სამძიმარს უცხადებენ კახა ნიკოლეიშვილის ოჯახს
**როლანდ ნიკოლეიშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

კახა კუტალაძე ოჯახით თანაუგრძნობს კახა ნიკოლეიშვილის ოჯახს
**როლანდ ნიკოლეიშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ რედაქცია თანაუგრძნობს კახა ნიკოლეიშვილის ოჯახს
**როლანდ ნიკოლეიშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

დავით ბიჭაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება
**როლანდ ნიკოლეიშვილის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ნათელა და ვაჟა ტერელაძეები ოჯახით იუწყებიან და დიდ გულისტკივილს გამოთქვამენ მზახლის, ღირსეული ადამიანის ბატონ
**თამაზ (თომა) ლომინაძის**
გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ ნათელა გელეიშვილსა და ბატონ ვაჟა ტერელაძეს მზახლის, ბატონ
**თამაზ (თომა) ლომინაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ გოგია, ანზორ კოპალეიშვილი, გიორგი ხაჟალია, გუგუჩი ჭანტურია, მამუკა ფრანგიშვილი, რეზო კანდელაკი, შალვა ერქვანიძე და სერგო ერქვანიძე თანაუგრძნობენ ქალბატონ ნათელა გელეიშვილსა და ვაჟა ტერელაძეს მზახლის, ბატონ
**თამაზ (თომა) ლომინაძის**
გარდაცვალების გამო.

---

მაყვალა ჩირგაძე ოჯახით თანაუგრძნობს ქალბატონ ნათელა გელეიშვილსა და ბატონ ვაჟა ტერელაძეს მზახლის, ბატონ
**თამაზ (თომა) ლომინაძის**
გარდაცვალების გამო.

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსასახური თანაუგრძნობს ქალბატონ ნათელა გელეიშვილსა და ბატონ ვაჟა ტერელაძეს მზახლის, ბატონ
**თამაზ (თომა) ლომინაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ქალბატონ ნათელა გელეიშვილსა და ვაჟა ტერელაძეს თანავუგრძნობთ მეგობრები მზახლის, ბატონი
**თამაზ (თომა) ლომინაძის**
გარდაცვალების გამო.

---

მაყვალა ჩირგაძე, ნინო ნანიტაშვილი და ქეთევან ჭელიძე თანაუგრძნობენ სოფიკო ტერელაძესა და გური ლომინაძეს მამისა და მამამთილის, ბატონი
**თამაზ (თომა) ლომინაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ლევან გაბეჩავა ოჯახით თანაუგრძნობს ქალბატონ ნათელა გელეიშვილსა და ბატონ ვაჟა ტერელაძეს მზახლის
**თამაზ (თომა) ლომინაძის**
გარდაცვალების გამო.

---

თეა ბაბუნაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ქალბატონ ნათელა გელეიშვილსა და ბატონ ვაჟა ტერელაძეს მზახლის
**თამაზ (თომა) ლომინაძის**
გარდაცვალების გამო.

# ტურნირის გამარჯვებული მეთერთმეტე სკოლის გუნდია

გაიმართა შესარჩევი ტურნირი ფეხბურთში სახელწოდებით "კოკა-კოლას თასი 2018". ტურნირი მუნიციპალიტეტის პირველ საჯარო სკოლასთან მდებარე სტადიონზე ჩატარდა. სამტრედიის რვა საჯარო სკოლა რვა გუნდით იყო წარმოდგენილი. მონაწილეობდნენ: ღანირის, კულაშის, მართლმადიდებლური სკოლის, მეათე, მესამე, მეთერთმეტე, მეორე და მეშვიდე საჯარო სკოლების საფეხბურთო გუნდები.



"სამტრედიის მაცნესთან" საუბარში ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა, ეროვნული კატეგორიის არბიტრმა, კობა ჭაჭუამ განაცხადა: "თითქმის ათი წელია ვატარებთ ამ ტურნირს, რომელიც მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, დღეს სამტრედიაში ვართ, თამაშები გაიმართა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, ფინალური მატჩი საქართველოს დედაქალაქში ჩატარდება, გამარჯვებული გუნდი საზღვარგარეთ გაემგზავრება.

ალექსანდრე თევზაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი: "ჩვენ ხელი შევუწყვეთ ამ ტურნირის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, ვესწრებით და თვალს ვადევნებთ მატჩების მიმდინარეობას, მივესალმებით ყველა ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, მადლობას მოვახსენებ სკოლებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს წლევანდელ ტურნირში.



ალექსანდრე ჯალაღანია, მეათე საჯარო სკოლის სპორტის პედაგოგი: " ძალიან კარგი განწყობა გვაქვს, ჩვენი ბავშვები ფორმაში არიან, დაძაბული და ხალისიანი შერკინებაა. მოგეხსენებათ, ასაკობრივი კატეგორია განსაზღვრულია მე-6 -მე-7 კლასელები არიან, ამ ბავშვებს შორის ბევრი პერსპექტიული ფეხბურთელია".

მეთერთმეტე საჯარო სკოლის სპორტის პედაგოგი გელა ცინცაძე: "ძალიან სასიხარულოა, რომ ასეთი ტურნირი ტარდება, ჩვენმა ბავშვებმა მართლაც კარგად ითამაშეს და ყველა თამაში დამაჯერებლად მოიგეს ანგარიშით 5:0, 6:1, 2:0. იმერეთის ტურნირისათვის ვემზადებით, რომელიც ივნისის დასაწყისში ჩატარდება, ბავშვები ძალიან მოტივირებულნი არიან და ველოდებით მომავალ გამარჯვებას."

**ნათია ნაცვლიშვილი**

# თამარი კვლავ წარმატებულია



2018 წლის 11-12 მაისს პოლონეთის ქ. ვროცლავში ჩატარდა შინკიოკუშინკაი კარატეს ევროპის ჩემპიონატი კონტაქტიან კარატეში. საქართველოს ნაკრებში სხვა სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტსკოლის კარატეს ჯგუფის წევრი თამარ ბიბილეიშვილი, რომელმაც წარმატებით იასპარეზა და დაიკავა მე-3 საპრიზო ადგილი.

**სენსეი მიხეილ ქანთარია**



## ქალბატონ ნანული კიკაბიძეს!



ჩვენო საყვარელო ნანული, განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, როგორც შესანიშნავ პიროვნებას, დიდი ადამიანური თვისებების მქონე დასაყრდენ ქალბატონს, შესანიშნავ სპეციალისტს სამსახურეობრივი თვალსაზრისით.
როგორც დიდებულ დედას, ბებიას, მოფუსფუსეს, როგორც დედისთვის. ასევე შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის განსაკუთრებულ ბებოს რაც კარგად სჩანს ყოველდღიურ ცხოვრებაში. გისურვებთ წარმატებებს ოჯახურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ თქვენს გარემოცვაში მყოფთ თქვენთვის საყვარელ ადამიანებთან ერთად.

**მზევინარ გოჩუა**

დაბადების დღეს ვულოცავთ ქალბატონ ნანული კიკაბიძეს, ვუსურვებთ, პირველ რიგში, ჯანმრთელობას, წარმატებებს და ღვთის წყალობას. გფარავდეთ უფალი!

**"სახლი თანადგომას" თანამშრომლები**

## ქალბატონ ვენერა პაპავას!



ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველსა და მეგობარს პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს.
იდღეგრძელეთ თქვენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

**"სამტრედიის მაცნე"**

## ქალბატონ ვენერა პაპავას!

ჩვენო საყვარელო ვენერა (ვიკა), იმდენად დადებითი მუხტი გაგაჩნია ყველას მიმართ არ ვიცით, რით გამოვხატოთ თქვენს მიმართ დამსახურებული სიყვარული, ერთგულება, პატივისცემა და დაფასება. თქვენი ჰობი არის, რით ასიამოვნო გარშემო მყოფ ადამიანებს. ახლა მაისია და ყვავილებს თავისუფლად იძენთ, მაგრამ თოვლშიც და ყინვაშიც შენთვის ხომ მაისია?! არავინ გრჩება უყურადღებოდ, ამიტომაც ნამდვილად ყველას უყვარხარ და დიდი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ, პირველ რიგში ჯანმრთელობას, ჩვენთვის სტიმულის მოსაცემად დიდხანს გვყოლოდე, ბევრ ახალგაზრდასაც თეთრი შურით შურს თქვენი შემართება, წლების მატებასთან ერთად ხდებით უბერებელი და ენერგიაც გემატებათ.

**დიდი სიყვარულით და პატივისცემით**
**"სახლი თანადგომას" თანამშრომლები**

## ვულოცავთ!

ღანირის საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი ვულოცავთ ამავე სკოლის პედაგოგს სოფიო ნოზაძეს შვილიშვილის შეძენას.
ჯანმრთელი და სასახელო ქალბატონი გაზრდილიყოს პატარა მაკრინე!

## ნატო მიქაძეს!

ღირსეულ ქალბატონს, კარგ მეგობარს, პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.
გმეგზურობდეთ უფალი.

**"სამტრედიის მაცნე"**





## გულიკო გოგიტიძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ კეთილი სურვილებით. ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, ბედნიერებას გისურვებთ. იხარეთ თქვენი წარმატებული შვილით, ჩვენთვისაც საამაყო ბაჩუკი ჩაბრაძითა და მისი ოჯახით.
მრავალი წელი შეგმატებოდეთ!

**"სამტრედიის მაცნე"**

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა